# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, ოპერა, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება

№ 10 | ფასი 25 კაპ. | მაისის 1—7 | 1925



მარიამ მიხ. საფ.-აბაშიძისა

მხცოვანი მსახიობქალი, მისი ავადმყოფობის გამო.

# აკაკის ძეგლისათვის

,,თეატრი და ცხოვრება''-ს მკითხველნო, თანამგრძნობნო და საერთოდ ქართული ბეჭდვითი სიტყვის მოყვარულნო, პოეზიისა და ხელოვნების თაყვანისმცემელნო, თეატრის ქურით გამობარნო!

1. არც ერთ წუთს, არას დროს არ დაივიწყოთ ჩვენი დიდი მომღერლისა და წინასწარმეტყველის აკაკის მწირი, ობოლი სამარე: იგი ნიაღვრისაგან წაილეკება და დროით წაინაშება, თუ დროით არ დავიცავთ კედლით და ძეგლი არ დავადგით! მაშ ვისაც რამდენი შეგიძლიათ, გადასდეთ და შეწირული თანხა აკაკის ძეგლის ამგებ კომიტეტს გადაუგზავნეთ (,,თეატრი და ცხოვრება'', რუსთველის პრ. № 34).

2. დაბა-სოფლის ჭირისუფალნო, არ დაივიწყოთ აკაკის ძეგლის საქმე: მოაწყეთ საღამო-წარმოდგენები და თანხა აკაკის ძეგლის ამგებ კომიტეტის სახელზედ გადმოგზავნეთ

3. ქართველო ერო, საქართველოს მშრომელო ხალხო და მოზარდო თაობავ, აკაკის სამარე დაკარგვისაგან უნდა დავიცვათ,—სამარეზედ შესაფერი ძეგლი დავდგათ!

4. ვინც აკაკის ძეგლის ასაგებად თავის წვლილს არ გაიღებს—უფლება არა აქვს ქართველ მოქალაქედ იწოდებოდეს.

5. ვინც ნაამაგდარ წინაპართ (როგორც აკაკია) საქმით პატივს არა სცემს, მისი ნაშრომით კი სარგებლობს,—მუქთახორაა, უმადური, თავისი ქვეყნის უღირსი შვილი და მომავალი თაობის საწყევარი.

6. აკაკის სამშობლოს ყვავილებო—პატარა გოგონებო და ბიჭუკებო, ყოველდღე იზრუნეთ აკაკის ძეგლის აგებისათვის: შეკრიბეთ შემოწირულება და შეგროვილი თანხა აკაკის ძეგლის ამგებ კომიტეტს გადაეცით.

7. მონადიმენო, მეათე ჭიქა ღვინის საღირალი აკაკის ძეგლისათვის გადასდეთ!

8. აკაკი მთელი თავისის არსებით—სულითა და გულით—ერს ეკუთვნოდა, მშრომელ ხალხს უმღეროდა, მოზარდ თაობას შეჰხაროდა,—ამიტომაც ძეგლიც მთელმა ერმა, მშრომელმა ხალხმა და მოზარდმა თაობამ უნდა დაუდგას თავისის წვლილით.

9. აკაკი არა მხოლოდ დიდი მამულიშვილი იყო, სამშობლოს მოყვარული, არამედ უდიდესი მსოფლიო მოქალაქეც, ყველა ერის მოყვარული და ხალხთა ძმობა-ერთობის მღაღადებელი,—ამიტომ ყველა ერის შეგნებულმა შვილმა მონაწილეობა უნდა მიიღოს აკაკის ძეგლის აგებაში.

10. აკაკი წარსულს, აწმყოსა და მომავალში ყველა ჩვენთაგანთან არის გადაჯაჭვული, ჩვენი გულის მარღვებთან გადანასკვული,—ვეცადოთ ეს ნასკვი, ეს ჯაჭვი არ გავწყვიტოთ, ეს კი შეგვიძლიან მისი მცნების აღსრულებით და მადლობის ნიშნად მის სამარეზე ძეგლის აგებით.

**აკაკის ძეგლის ამგები კომიტეტი**

**,,თეატრი და ცხოვრება''-ს რედაქცია (რუსთველის პრ. № 34).**

# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

1910—1925
წელიწ. XV

№ 10
(366)

ფასი 25 კ.

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით—6 მან. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილ შეიძლება. წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად: სარეპერტუარო პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე“-ს 4 წიგნს.

რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34

„თეატრი და ცხოვრება“,
იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | მაისის 1—7 | გამოცემა 1925 წ.


# სადღეისო შენიშვნები

### სოფელი სტირის...

არა ერთი და ორი განცხადება მოგვდის დაბა-სოფლიდან—რეჟისორ-ხელმძღვანელი მოგვაშველეთო.

დაბა-სოფლისკენ წამსვლელი ძნელად ჩნდება, ხოლო თუ ვინმე გაგზავნე—ვითომ ან ნაკისრი საქმის უვიცი აღმოჩნდება, ან ლოთი, ან ქვებუდანი—ინტრიგების ქსელის გამბმელი,—ან და თუ რეჟისორი ყოველმხრივ მისაღებია, ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ვინმე, რომლით უკმაყოფილო, გამოერევა და მიწვეულ კაცს გამოაძევებენ.

აღარ ვიტყვით სცენის მოუწყობლობასა და რეპერტუარის უქონლობაზე: ეს ყველამ იცის.

ვისგანაც ჯერ არს, სასწრაფოდ უნდა გამოირკვეს **სად, ვის, რა უჭირს**, შემუშავდეს დებულება (თუ დღემდე არ შემუშავებულა), რეჟისორ-სცენის მოყვარეთა ურთიერთობისა და მოვალეობათა მტკიცედ შესრულების შესახებ.

სოფელი მივიწყებულია, სოფელი სტირის..

### ვითომ ხელოვანნი

მაგრამ არა მხოლოდ სოფელი სტირის...

დღეს ვინ არ გინდა სასცენო ხელოვნებას ეტანება და ხელოვნების ამ წმინდა ტაძარში ღირსეულ ქურუმობას შესძლებს თუ არა, ამას არ კითხულობს, არც დაგიდევს, ოღონდ სურვილი კი ჰქონდეს.

არც კი უკვირდებიან, რომ სათეატრო ხელოვნება ერთი უდიდესი, უწრფელესი ხელოვნებათაგანია, რომ აქ ნიჭს გარდა საჭიროა მშვენიერი გარეგნობა, სახის მეტყველება, გამოთქმა, ყოველმხრივი სისრულე..

და არა ნაკლებ საჭიროა ხელოვნების უშუალო შეგრძნება, გული და სული, ცოდნა და კიდევ ცოდნა, თორემ ახლა ხშირად რეჟისორობს, ხელმძღვანელობას ის ჰკიდებს ხელს, ვისაც საამისოდ არა რა აქვს...

დიაღ, სინამდვილეში ამას თითქმის ყურადღება არა აქვს მიქცეული. დროა, ამ მხრივ უფრო დიდი საზომი დაიდოს და გზა ფართე. მხოლოდ ნიჭს მიეცეს, თაყვანის ცემა ღირსებას!

---


იოსებ არიმათიელი.


# ქართულ თეატრის გალერეა

### II

### მარიამ მიხ. საფაროვ-აბაშიძისა

ქართული თეატრის ისტორიის კაბადონებს მუდამ ფასდაუდებელ მოოქროვილ არშიად ექნება შემოვლებული მაკო საფაროვ-აბაშიძის სახელი.

ვის არ აუთრთოლებს დღესაც გულს ამ მუდამ ცქრიალა, ხასხასა, დაუშრეტელ სიცოცხლის მფრქვეველ მაღალ ხელოვან ქურუმის მოგონება!

ეს ხომ ჩვენი სამუდამო თეატრის ერთი პირველი მესაძირკველთაგანია!

ეს ხომ სამშობლო სცენის ცისკარი, კაშკაშა მზე, ნეტარი გაზაფხული იყო, ნაყოფიერი ზაფხული, უხვი შემოდგომა.

და დღეს, როდესაც მისი სიცოცხლის ზამთარი დაირხა, ეს **ანი** და **ბანი** მშობელი ერის ბრძმედი ქურისა, მივიწყებულია.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ხომ დიდის ყურადღებით ეპყრობა მშრომელი ხალხისათვის ხელოვნების ასპარეზზე მომუშავეთ.

და ამ მხრივ განა მაკოს ნაკლები ღვაწლი მიუძღვის? განა საჭიროა მისი ნამოღვაწევის ჩამოთვლა?!

ჯილდო?

ერთადერთი უდიდესი ჯილდო, რომლითაც ალალანდების ყველა ხელოვნების მრავალწლოობით სახელოვნო ცეცხლში ჩამწვარ-ჩაფერფლილი გული, მაკოსთვის ჯერ არ მიუკუთვნებიათ, თუმცა მისი ძღძუთი აღზრდილთ უკვე მიენიჭათ ეს უდიდესი ჯილდო—**წოდება რესპუბლიკის სახალხო მსახიობისა.**

მაკომ რაღა დააშავა, იმ მაკომ, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა სამშობლო სცენას, როგორც მსახიობი, საოპერო დასის ხელმძღვანელი (მასვე მიეწერება შალიაპინის აღმოჩენა), სახალხო თეატრის ერთი დაუზარელი მუშაკთაგანი.

მადლიერმა სამშობლომ იგი თავის გულში დიდი ხანია **ერის სახალხო არტისტათ აღიარა,** ამას დადასტურება-ღა ეჭირვება, ვისგანაც ჯერ არს!..

ს. რემონიძე

# მაისობა

„კაენ! სად არის ძმა შენი"?

I

— გაათავე?—ოთახში შესვლისთანავე ჰკითხა ყმაწვილმა ახალგაზრდა ქალს, ხელი მაგრათ ჩამოართვა და ღიმილით თვალებში ჩახედა.

— გავათავე ჩემო, გავათავე! შუაღამემდი ვმუშაობდი, მეშინოდა, ვაი თუ ვერ მოვასწრო-მეთქი.

— მართლა?! აბა მაჩვენე, გენაცვალე!

— ეხლავე,—მიუგო ქალმა, გამოსწია მაგიდის უჯრა, ქაღალდში გახვეული ნივთი ამოიღო და ფრთხილად გაშალა.

— რა მშვენიერია! აბა, ვნახოთ—შეცდომა ხომ არ არის:

„გაუმარჯოს პირველ მაისს!"

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!"

„გაუმარჯოს სოციალიზმს!"

— ვაშა ჩემო ცილია! რა მშვენივრად მოგიგვირისტებია. ამაზე კარგად ვერც ქართველი ქალი მოქარგავდა. რა ყოჩაღები ხართ ებრაელის ქალები. ასეთი დროშა დღეს არავის ექნება.

— კარგია განა?!

— ჩინებულია, ჩემო კარგო, ჩინებული! ნება მომეცი სამაგიეროთ გაკოცო, უთხრა ირაკლიმ და კოცნით დააჯილდოვა ცილია.

— კარგი ერთი, არავინ დაგვინახოს... მგონი წასვლის დროც არის.

— არა, ჯერ ადრეა. მიტინგი სრულ თორმეტზე დაიწყება, თუმცა თითო-ოროლა ამხანაგი უკვე მიდიოდა.

— მართლა ფურცლებისა რა ჰქენი?

— რაღა საკითხავია, დავბეჭდეთ, გავანაწილეთ და ავაკარით კიდეც, ნაწილიც აქვე მაქვს დღეს იქ დასარიგებლად. როგორ გაბრაზდებიან როცა გაიგებენ... მიტინგი არ ჩაგვიშალონ და სხვა არა მინდა რა.

— სიფრთხილეა საჭირო. ადგილი ხომ არ გამოგიცვლიათ?

— არა. სუნგარას გაღმა, ტრიალ მინდორზე, პირველი ალაგია. თუ არავინ გვიჯაშუშა, ისე ეჭვს ვერავინ აიღებს. იქ ყოველთვის დიდი ხალხი დადის. ჩვენი სტამბის ბიჭები ბუზიკით მიდიოდენ, ვითომ და საქეიფოდ!:.

— დიდი ეშმაკები ხართ, მაგრამ არც პოლიციაა ნაკლები. ვაი თუ მოგვაგნეს და მოგვაყოლეს უკუდო მათრახები... თუმცა მე რა, მე ქალი ვარ და ჩემი ხელის შეხებას ვერ გაბედავენ, კაცებმა უნდა იკითხოთ.—ამბობდა ცილია ღიმილით და თან საზაფხულო კაბას იცვამდა, აფუებულ, კოკრებიან თეთრ მკერდს, თითქო, განგებ აჩენდა, რომ ყმაწვილი კაცი გაელიზიანებია... ირაკლისაც ქაღალდში გახვეული ბაირაღი ხელში შეცივებოდა... ნახევრად ტიტველ ქალის მკერდს ხარბათ მისჩერებოდა...

— ცილია!—წამოიძახა მან და ანგარიშ მიუცემლად გადადგა ნაბიჯი გაშვერილი ხელებით... ქალმა ცალი ხელი დაუჭირა, წელზე მოხვეული მარჯვენა ხელი კი ნელა მოიშორა და ვნების მომგვრელი ღიმილით წასჩურჩულა:

— Рукам"воли не давать... რა დროს ესენია... მიტინგზე დავგიგვიანდება...

— ერთი, ერთი... ერთს გაკოცებ, მხოლოდ ერთს...

— არასოდეს!

— ცილია! ნუ თუ არ მენდობი?..

— გეწყინა განა! შენ რატომ არ მენდე?

— როდის, რას ამბობ?!

— როდის და იმ დღეს. აკი გთხოვე ფარული სტამბა მაჩვენე მეთქი. არ მენდე... ცხადია, ეჭვი შეგდის ჩემზე. ალბათ ჯერ კიდევ გეშინია ჩემი... ტყვილა მატყუებ, არც კი გიყვარვარ... ასეთები ხართ კაცები, დაუნდობლები...

აცრემლდა ქალი.

— ცილია, გენაცვალე. აბა რას ამბობ!.. შენზე უკეთესი სანდო მე ვიღა მყავს! წამოდი, თუ გინდა ეხლავე გიჩვენებ, მაგრამ რათ გინდა არ მესმის, რა არის იმ ჯურღმულში საინტერესო!.. დაწყნარდი გენაცვალე, ჩაიცვი, წავიდეთ, არ დაგვიგვიანდეს.

— მე თითონ მინდა მოგეხმარო აწყობა-დაბეჭდვაზე. პეტერბურგშიც ვმუშაობდი ფარულ სტამბაში, შენ კი უნდოთ მიყურებ... შენთვის თავდადებულ მეგობარს... შენთვის განწირულს!..

იცრემლებოდა ცილია და თან გულზე ეკვროდა ირაკლის...

— გეტყვი, გენაცვალოს ჩემი თავი, ყველაფერს გეტყვი... ვის ვეტყვი შენზე უკეთესს,—ცხელი კოცნით უმშრალებდა აცრემლებულ თვალებს ირაკლი ქალს და გულზე იკრავდა...

— მითხარი, ეხლა მითხარი, თუ კი მენდობი, არა და ხელი გამიშვი!..

— გეტყვი, გენაცვალე: სტამბა ჩემს ოთახშია.

— სად, რა ალაგას?

კედელზე ჩამოკიდებულ ხელმწიფის დიდ სურათს უკან, კარია კედელში დატანებული.

— მერე?

— აი, ამ კარით შეხვალ სტამბაში. ანდერძი კაცს არ მოკლავს, მე თუ დამიჭირონ, შენ ეპატრონე ამ სტამბას და იმუშავე კიდეც, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... რა კარგი ხარ...—კოცნიდა, ეალერსებოდა ცილიას ირაკლი.

— სსუუ... ფეხის ხმაა, ვიღაც მოდის!—უეცრად მოშორდა ქალი.

— რა სისულელეა, აბა რას ჩადიხარ ირაკლი, ამ შუა დღისას!.. წავიდეთ, არ დაგიგვიანდეს.—ისეთი კილოთი წარმოსთქვა ქალმა ეს სიტყვები, რომ ვაჟს შერცხვა, გახურებული შუბლი და პირისახე ცივი წყლით გაიგრილა და ცოტახნის შემდეგ ორივენი ქუჩაში გაჩნდენ.

II

საამური დღე იდგა. მზე არაჩვეულებრივად თამაშობდა, თითქოს ბუდიდან გადმოხტომას ლამობდა.

ხარბინის ფართე ქუჩებზე ხალხი ირეოდა. მეტი მოძრაობა „ჩინეთის ქუჩას" ეტყობოდა. მდინარე სუნგარას გაღმა დღეს მეტი ხალხი მიდიოდა ვინემ ოდესმე. ვინ საქეიფოდ მიეჩქარებოდა სანოვაგით რომ საღამომდე მწვანეზე წამოწოლილს დრო გაეტარებინა, ვინ სხვა მიზნით..

ირაკლიმ და ცილიამაც გაიარეს უზარმაზარი ხიდი.

წყნარად მიიზლაზნებოდა სუნგარა, თითქო უფრო დაწმენდილიც იყო იმ დღეს, ალბათ იმიტომ, არაჩვეულებრივ სტუმრებს რომ ელოდა...

მის ნაპირზე საზაფხულოდ გაშენებულ მორთულ კარვებში უკვე დაწყებულიყო ქეიფი: ჭყიპინებდა „ბუზიკა“, ბანს აძლევდა არღანი...

იგინებოდენ დედას მთვრალები... ცეკვობდენ, არშიყობდენ, ღლაბუცობდენ... დროს ატარებდენ.

— მარცხნით, ამხანაგებო!—წაულაპარაკა „კავშირმა“ ირაკლის და ცილიას.

— აკი მარჯვნით იყო დანიშნული?

— იყო, მაგრამ შესცვალეს.

ნულარ გაჩერდებით, პირდაპირ წადით. ხალხი ბლომათაა თავმოყრილი. დროშაც ააფრიალეს. საცაა მიტინგი დაიწყება.

ამაღლებულ ალაგას, შორიდანვე მოსჩანდა უამრავი ხალხი, რომელსაც თანდათან ემატებოდა. ირაკლი და ცილიაც მათ შეუერთდენ.

ყველას ღიმი უკრთოდა სახეზე. მკერდს წითელი სადღესასწაულო ნიშნები უმშვენებდათ.

უმეტესობა მუშები იყვენ.

წითელი დროშა ამაყად ფრიალებდა...

მას მიემატა დროშა ქართული წარწერით...

— გაუმარჯოს ინტერნაციონალს!—დაიძახა ირაკლიმ დროშის აფრიალებისას.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! იგრიალა ხალხმა.

— ამხანაგებო! პირველი მაისის პირველ დღესასწაულს ხარბინში, გახსნილად ვაცხადებ.

განაცხადა თავმჯდომარემ და განმარტა პირველი მაისის მნიშვნელობა მუშა ხალხისთვის. მის სიტყვის დასასრულ იმღერეს მარსელიოზა.

— ქართულად სიტყვას იტყვის ამხანაგი ირაკლი,— დაიძახა მან ბოლოს.

ტრიბუნაზე ადის ირაკლი.

ამხანაგებო! ქართველებო!

დღეს, მთელი ქვეყნის კიდით-კიდემდე იმართება ასეთი კრებები და მიტინგები. მუშები სწონიან თავიანთ ძალებს: წელს თუ აქ, ამ მინდორში, ჩინეთის ერთ კუთხეში ათასმა კაცმა მოვიყარეთ თავი, გაისათ ორი ათასი მოვიყრით, იმერ გაისათ ოთხი ათასი და ამნაირად, ჩვენი ძალა თანდათან იზრდება და ვითარდება, თვითმპყრობელობას კი ნიადაგი ეცლება.

ათასცხრაას ხუთში ჩვენ ბრძოლა წავაგეთ, იმიტომ რომ არ ვიყავით მომზადებულნი და შეგნებულნი.

დიაღ, მტკიცე და ურყევი საფუძველი ჩვენი გამარჯვებისა არის შეგნება, ცოდნა და განათლება. ამისათვის კი საჭიროა სიტყვის თავისუფლება,— რაც ჩვენ დღეს არა გვაქვს.

რატომ ეშინიათ ჩვენ ბატონებს სიტყვის თავისუფლების? ეს ადვილი გასაგებია.

რატომ გაურბიან კრიტიკას თუ ისინი მართალი არიან?

ცხადია რატომ: ეშინიათ სიმართლის თქმის, ეშინიათ კრიტიკის. „ქურდს რა უყვარს და ბნელი ღამეო“.

რა გვინდა ჩვენ ქართველებს მანჯურიაში, ამ ორიათას ვერსზე? რატომ მიგვატოვებინეს ჩვენი საყვარელი სამშობლო, ცოლშვილი მოხუცი მშობლები, მეგობრები და ამხანაგები? იმიტომ რომ ჩვენ მათ კრიტიკა გავუწიეთ, იმათ აზრებს არ დავეთანხმეთ, მათი მრუდე გზა ჩვენ ვერ ვიწამეთ.

აი რისთვის დაგვსაჯეს, ჩვენი ლამაზი ქვეყნიდან გამოგვაძევეს, ზოგი ჩვენგანი ჯურღმულებში ჩაყარეს, სახლკარი გადაუწვეს, ააწიოკეს,

ვინც ხელში ვერ მოიგდეს, იმათ მაგიერ მათი მოხუცი დედმამა დაატუსაღეს და აწამეს.

„მოიყვანე შენი შვილი, არა და ჩალპი ციხეში“ აი სამართალი!

ათეული წლების ნაამაგარი ცეცხლს მისცეს!..

მეც იქ ვიყავი იმ დროს აბრაგად ტყეში გავარდნილი!.. ისე დამდევდენ როგორც ცოფიან ძაღლს!.. რატომ, რა დავაშავე? კაცი მე არ მომიკლავს და ქურდობა არ ჩამიდენია.

როგორ აწამეს ჩემი უმცროსი ძმა!..

—„სთქვი, სად არის შენი ავაზაკი ძმა, ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ შენ მასთან ტყეში სადილი დაგაქვსო“, და როცა ჩემი ძმა ვერ გამოტეხეს, ჩემ სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

—„არც ეხლა იტყვი? სთქვი ჩქარა!“ უყვიროდა ჯარის უფროსი ჩემს ძმას.

—„არ ვიტყვი, არა... არ ვიცი სად არის“.

—„არ იტყვი გველის წიწილო!.. აი თუ არ იტყვი“—დაიღრიალა ბრაზმორეულმა უფროსმა, იშიშვლა ხმალი და ერთი დაკვრით, ხელებ შეკრულ ჩემს ძმას, მარჯვენა მკლავი ჩამოაცალა!..

—„არც ეხლა იტყვი“!..

—„არ ვიტყვი მხეცო... არ ვიტყვი, არა“!.. აღრიალდა სიმწარისაგან ჩემი უბედური ძმა...

—„აჰა, თუ არ იტყვი!“—ამ სიტყვებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელი ჰკრა დი შუაგულ ცეცხლში შეაგდო!..

ამის დამნახველი დედა ჭკუაზე შეცდა!.. დღესაც თმაგაწეწილი, სოფელ-სოფელ დაეხეტება და დაკარგულ ქმარ-შვილს დაეძებს!..

მოხუც მამას ციხეში ამოხადეს ტანჯული სული... იმისი სასაფლაო დღეხაც არავინ იცის სად არის...

მგონი ძაღლებს დაუგდეს მინდორში სათრევად!..

— საზიზღრები!.. საძაგლები!.. ძირს ასეთი მთავრობა!..—იღრიალა ხალხმა.

— და მერე ვისით მოხდა ყოველივე ეს? თვით ჩვენივე შეუგნებლობის წყალობით.

გააჯაშუშეს, გარყვნეს ხალხი! ფულებით მოიყიდეს უგუნურები. ცეცხლში დაწვას, წამებას და სარდაფებში სიკვდილს, შერცხვენილი სიცოცხლე აჯობინეს...

დიაღ, ამხანაგებო, დღეს ბევრია ასეთი სულით დაცემული ძმების გამყიდველები, რომლებიც მუშა ხალხის მტრებს ამოსდგომიან გვერდში და იმათთან ერთად ზეიმობენ და ლაღობენ!.. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მომავალი მაინც ჩვენია, ბოლოს მაინც სამართლიანობა გაიმარჯვებს... ამის წინამორბედია დღევანდელი დღე, მაშ გაუმარჯოს პირველ მაისს, გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშა ხალხს, გაუმარჯოს სოციალიზმს...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—იგრიალა ხალხმა.

მიტინგი დაიხურა.

მუშები, რევოლიუციონური სიმღერებით, მწყობრად წავიდენ და გზაში ნელ-ნელა დაიშალენ.

### III

ირაკლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ასე კარგად ჩაიარა პირველმა მაისმა. ამდენი მუშები დაესწრენ, არავინ დაუჭერიათ. მას აინტერესებდა გაეგო სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში როგორ წავიდა საქმე, ხომ არავინ დასჭრეს და დაიჭირეს.

წინ მიდის, წინ, მუშების საქმე, იჰედება მომავალი ბედნიერება; მომავალი მუშა-ხალხის არის. უხარია რომ მისი ამდენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის... მასაც ელირსება გათენება...

ამ ფიქრებში ჩაეძინა ირაკლის რომ სწორედ ამ დროს კარებზე დაუკაკუნეს... ბრახუნი უფრო მაგრად განმეორდა. ირაკლის გამოეღვიძა.

— ვინა ხარ?

— გააღე და გაიგებ, ვინცა ვართ?

ირაკლი დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა!

— გააღე ჩქარა... ნუ აყოვნებ, თორემ ძალად შემოვამტრევთ კარებს!..

ირაკლი მიხვდა, რომ ყველაფერი ამაო იყო და ხალათიც აღარ გადაუცვამს, ისე გაუღო კარები დაუპატიჟებელ სტუმრებს.

— რა უფლებით... მოწმობა გვიჩვენეთ!

— ყველაფერი რიგზეა, ყმაწვილო!.. უმჯობესია გაისარჯოთ და თქვენი სტამბა გვიჩვენოთ,—ილიმებოდა გულსაკლავად არაყით გაჟღენთილი, ბოქაული.

— რის სტამბა, რას ამბობთ!

— სტამბა, ყმაწვილო! თქვენი სტამბა.

— მე არავითარი სტამბა არ ვიცი.

— არ იცი? მაშ მე გაჩვენებ, შენ თუ არ იცი. ჩამოიღეთ ხელმწიფის სურათი!—ბრძანა ბოქაულმა.

— ააჰ... საზიზღარო ციალა... ჯაშუშო, გველო!.. წამოიძახა ირაკლიმ ანგარიშ მიუცემლად და იქვე ჩაჯდა.

თვალები უბნელდებოდა, როცა ხედავდა როგორი სიხარულით გამოჰქონდათ მისი დიდიხნის ნაამაგარი სტამბა.

— აბა, წამობრძანდით ყმაწვილო კაცო!

მძიმედ წამოდგა ირაკლი. ჩაიცვა თვისი გახუნებული პალტო და პოლიციელებს გაჰყვა...

ჰიშკართან მურია დაინახა დაძინებული.

— რა ტკბილად გძინავს ჩემო მურია! შენ უფრო ბედნიერი ხარ, ვინემ მე, სახელათ ადამიანი!

გონიერმა პირუტყვმა, ნაცნობი ხმა რომ გაიგონა, წამოვარდა და ირაკლისთან უნდოდა მისულიყო, მაგრამ დარაჯებმა არ მიუშვეს.

— Нуу... куда!.. пошел вон ..

— მშვიდობით, ჩემო მურია, მშვიდობით! შენ უფრო სანდო და პატიოსანი ხარ ვინემ ზოგიერთი ჩვენი მეგობარი...

ნაღვლიანად წარმოსთქვა და სიბნელეში მიიმალა დარაჯებთან ერთად...

ნინო ყიფიანი

# დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან.

(მოგონება)

ეს მოგონება შეეხება დიმიტრის ცხოვრების იმ ეპიზოდს, ღრმად ჩამჯდარს დღემდის ჩემს გონებაში თვისი ძლიერი შთაბეჭდილებით, რომელსაც ისეთი დიდი შედეგი მოჰყვა, როგორც თვით დიმიტრისა და მისი ოჯახისათვის, ისე იქნება ქართველი ერისათვისაც იმდენად, რამდენადაც მისმა ვერაგულად მოკვლამ ხალხი გამოაფხიზლა და დიდიხნის დაგუბებულმა ბოღმამ თვითმპყრობელობისადმი მისი ცხედრის სტავროპოლიდან გადმოსვენებასა და მის დიდებულად დაკრძალვაში გადმოხეთქა. უმიზეზოდ არ თრთოდა იმ დღეს მაშინდელი მთავარმართებელი დუნდუკოვ-კორსაკოვი, მღელვარე პროცესიისგან თავს რომ თითქო სარკმელზე ფარდის ჩამოშვებით იფარავდა.

ბედმა მარგუნა ისეთი დიდ-ბუნებოვანი ადამიანის პირადად ცნობა, ახლობლობა, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი! რა უყო, რომ ბრწყინვალე მეტეორივით უეცრად გამიელვა თვალ-წინ სულ მცირე ხნით და გაჰქრა! როგორც მეტეორის არსებობას მომაკვდავი, ისე მეც ვერ მივსწვდებოდი, მაშინ მაინც ჩემი თითქმის ბავშვური გონებით, მის ღიად ზრახვებს, მის სულისკვეთებას, თუ რით იყო დამძიმებული მისი ფხიზელი ფიქრები ჩვენს ყოფაზე იმ ჩაგვრისა და მონობის დროს, მაგრამ ცოტა რამ მაინც მოვისმინე მისგან ჩემს ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ, ხომ ახვდა წილად მეც მამობრივი მისი მოპყრობა და სიყვარული! და ყველა ეს კი ცოტა არ იყო ჩემისთანა მომაკვდავისათვის, რომ ის დრო სანეტაროდაც მქონდეს მოსაგონებელი.

—

ზაფხულია. საღამო ისეთი იშვიათი სილამაზის, როგორც ს. ქვიშხეთს სჩვევია. ძველებური ორ სართულიანი სახლის ფართო აივანზე ვსხედვართ დიმიტრი ყიფიანის ოჯახის თითქმის ყველა წევრები და ტახტებზე თუ სავარძლებში ნებივრად მოკალათებულნი გადავსცქერით მტკვრის ნაპირებზე გადაშლილ მომხიბლავ სურათებს. ჩამავალი მზე ფანტასტიურ ფერებს აძლევს თვალ-უწვდენელ, ნათესებით აფერადებულ ვაკეს, მთების გრეხილს ნაძვნარიანი ფერდოებებით, ფირუზად ქცეულ ცაზე თეთრი ღრუბლების ქარავნებსა. ზოგი ვკითხულობთ, ზოგი განაბული გავსცქერით ამ ბუნებას.

დიმიტრიც[1]) ჩვენთან არის, მაგრამ გუნებაზე ვერ არის, თავისებურად არ გვეხუმრება, არ გვიკითხავს ხმამაღლა, აივანზე მიდი-მოდის მძიმე ნაბიჯით, ხელებ-წელზე გაწყობილი და ფიქრშია წასული, თითქო არც ჩვენ გვამჩნევს არც ბუნებას.

ვიცით კარგად, რა აწუხებს ეხლა იმას, მოსვენებას არ აძლევს, ცუდ-გუნებობა მისი გვედება ჩვენც და სულგაკმედილნი შევსცქერით.

—როგორ გაჰბედა, როგორ ერთი კაცის დანაშაულისათვის მთელი ერის დაწყევლა?!—უცებ შეჰყვირა და გაჩერდა ერთ ალაგას.

ყველას გული გადმოგვიტრიალდა, უნებურად წამოვიწიეთ ადგილებიდან. საშინელი აღელვებული იყო, სულ მუშტს იცემდა მკერდზე, თვალებიდანაც ცეცხლს ჰყრიდა. როგორ დამავიწყდება მაშინდელი ჩემი ყოფა! მუდამ მოღიმარი და ტკბილად მოუბარი, ასეთ განრისხებული სახით მე ის ჯერ არ მენახა და მთლად დავიბენი, მოვიზლარბე სავარძელში, თავით მხრებში ჩავძვერი და დამფრთხალი კურდღლის თვალებით შორიდან შევსცქეროდი.

[1]: რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ მეც მამას ვუწოდებდი, მაგრამ აქ მას სახელით მოვიხსენიებ.

შვილებმა, კოტემ ელენემ (ნიკო არ იყო იმ დროს აქ) პირველად ვერაფერი შეჰბედეს, საერთოდ დიდათ მორიდებული მოპყრობა ჰქონდა მას ცოლშვილისაგან, მეტადრე როცა გუნებაზე არ იყო. მხოლოდ მეუღლე მივიდა მასთან. სათუთად დაადო მხარზე ხელი და, ვედრებით უთხრა:

—დიმიტრი, „დუშკა“, ნუ ღელავ ეგრე, ხომ იცი როგორ გწყენს შენ აღელვება?!

—არა, როგორ, როგორ გაჰბედა, იმ უკეთურმა იმან! შეაგება მეუღლეს ასევე კითხვა პასუხად.

—ძალა-უფლება იმის ხელშია და გაჰბედა, მამას უპასუხეს შვილებმა.

—არა, იმას ამის ძალა-უფლება არა აქვს! ის ხალხის მწყემსად არის აქ წარმოგზავნილი და არა მაწყევრად! იმან ბოდიში უნდა მოიხადოს ერის წინაშე, ბოდიში!—იმეორებდა.

აბა, ხმას ვილა გასცემდა. ჩამოვარდა მძიმე სიჩუმე, რა დროსაც დიმიტრი, უკვე ფიქრში წასული, მიდი-მოდიოდა. სახე თანდათან დაუმშვიდდა; ეტყობოდა, რომ პირველმა აღელვებამ გაუარა, გული დაუცხრა და ეხლა უფრო გონება მუშაობდა.

კარგა ხანს დაჰყო ასე ფიქრებში გართულმა. ბოლოს გადაწყვეტილი ნაბიჯით გასწია ოთახის მეორე მხარესკენ და რამოდენიმე წუთის შემდეგ, მისი კაბინეტიდგან იქვე ჩვენთან ახლო გამოღებულ სარკმლიდან დავინახეთ, როგორ სწრაფად მიუჯდა ის საწერ მაგიდას და იწყო წერა.

ერთი ფიქრი და განცდა დაუტრიალდა ყველას: დიმიტრის ცოლშვილმა კარგად იცოდა მისი უდრეკი ხასიათი და თავ-განწირვა, როდესაც საქმე სამართლიანობის შელახვას შეეხებოდა და შიშით შეპყრობილნი მოუთმენლად ველოდით, თუ რას წაგვიკითხავდა. და რომ წაგვიკითხავდა, ეს ნამდვილად ვიცოდით, ვინაიდგან ასეთი ჩვეულება ჰქონდა მას, რომ არაფერს მნიშვნელოვანს ცოლ-შვილის გაუგებრად არ ჩაიდენდა.

გადიოდა დრო მოუსვენარ მოლოდინში. უკვე ბინდდებოდა. შორიდან ვხედავდით, რომ წერა გაათავა და სავარძელში იჯდა ჩაფიქრებული. ვინ იცის, თუ რას დასტრიალებდენ იმ დროს იმის მღელვარე ფიქრები! იქნებ წინასწარ იმასაც გრძნობდა, თუ რა საბედისწერო იყო მისთვის ის წერილი, რომელიც ის იყო დაამთავრა პავლე ექსარხოსისადმი, რომელმაც ისე თავხედად, ისე განუკითხავად, ერთი უადამიანო, უმსგავსი რექტორის გულისათვის მთელი ერი საჯაროდ შეაჩვენა! გრძნობდა იქნებ დიდ პასუხისმგებლობას ისეთი სასტიკი წერილის გამო, მაგრამ უკან აღარ დაიხევდა და აკი არც დაიხია...

„თუ ბოდიშს არ მოიხდით, ხსნა თქვენის ხარისხისა მხოლოდ შეურაცხმყოფელის წასვლით-ღა შეიძლება შეურაცხყოფილი ქვეყნიდანაო!“ ისეთ მუქარას უბედავდა იმ წერილში, სხვათა შორის, დაჩაგრული ქვეყნის შვილი მეფის წარმოგზავნილ დიდს მოხელესა!

გვიკითხავდა ასეთს მძლავრ სიტყვებს, გამოწვეულთ მისი სპეტაკი გრძნობებით, სამართლიანობით, ხალხისადმი სიყვარულით და ჩვენ კი, აღტაცების მაგიერ, გული გვეწურებოდა.

ცოლშვილმა გამოსთქვა თვისი შიში ასეთი წერილის გამო ბევრის შემძლებელ პიროვნებისადმი, მაგრამ დიმიტრის ნებასთან სუსტი იყო ყველაფერი.

— დიაღ, ბოდიში, ბოდიში უნდა მოიხადოს! იმეორებდა ის ურყევლად და ამ დროს ისეთი ძლიერი იყო მასში სურვილი ამ ბოდიშისა, შეურაცხყოფილი ხალხის ღირსების აღდგენისა, რომ სამაგიეროს მოთხოვნას მისგან: მოისპე თავი, აღმოფხვერი ქართველი ხალხის მახსოვრობიდან თვით სახელიც კი დიმიტრი ყიფიანისო,— ის, ვფიქრობ, წარბ-შეუხრელად მოაწერდა ამაზე ხელს, ოღონდ ეს ხალხის მტერი—მოძულე ბერი ამ ხალხის წინ განართხული დაენახა!..

მაგრამ პავლემ ბოდიში, რა თქმა უნდა, არ მოიხადა; ხოლო დიმიტრი კი მოსპო მაინც...

წერილი მეორე დღესვე გაუგზავნა. რაც მოჰყვა ამას, ყველამ უწყის: დიმიტრი, როგორც მავნე პირი მთავრობისათვის, ქ. სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ის ერთი წლის შემდეგ მთავრობის მიერ მოსყიდულმა ავაზაკმა მოჰკლა ღამე, რაღაცა მძიმეთი თავში დარტყმით.

ასე დასდო თავი დიმიტრიმ თავის რწმენას, რომლისთვისაც მთელ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ბეწვის ოდენა გადახრით არ უღალატნია.

von Rudolf Kayser.

# პოეტი შემოქმედი

## Hugo Hofmannstahl *)

ჰოფმანშტალის სამყარო მოცემულია კულტურულ-ლიტერატურულ ფორმაში, რომლის შინაარსი ნაზი და ჩუმი ავადმყოფობაა. თუ პოეტს დავემდურებით, მარტო იმიტომ, რომ მის თხზულებებში არ არის გრძნობათა ძლიერი და სწორი ასახება, ვერ დაიპყრო ძალი და სიცხე მოვლენების, ვერ მოგვცა აზრთა და ფიგურათა სიმდიდრე. ეს იქნებოდა არა მარტო ხელოვნების, არამედ თვით ბუნების გაუგებრობა. მწერლობის მუსიკა განსხვავდება სიცოცხლის მუსიკისგან. ქერას შავი თმა არ მოეთხოვება. ჰოფმანშტალის ლირიული ფუძე სულ სხვა პირობებში იშლება ვიდრე შექსპირის სამყარო, დოსტოევსკის და სტრინდბერგის დემონი და პანიური ბუნებრიობა ვიტმანის.

კულტურა „მე“-ს ნაშენია და სამფლობელო მის საკუთარ განცდების. ის არის სული, ინსტინქტის თვალსაზრისით, ყნოსვა ღირებულების, ისტორიის ლანდშაფტების ხელოვნება ფორმის და სიტყვის მაგიის.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კულტურის მიღება არსებული ყოველდღიურობის ზიზღი და სიძულვილი არ ატარებს სულიერობის სუბსტანციის სარჩულს. ასევე შეუძლებელია ლიტერატურულ კულტურაში გაბატონებულ ძალთა დაჰიმვა სულის გარეშე. ის, სული მოთავსებულია რომანტიულ და კლასიკურ-დიონისიურ და აპოლონიურ პლჲუსებს შორის. ის ან არის აუცილებლათ შინაგანი ბრძოლა, ან საზოგადოდ არ არის, არ არსებობს. სული შემოქმედებითია. ხელოვანთათვის არ არსებობს სხვადასხვა ახსნითი მეთოდები. „კლასიური ხელოვნების თხზულება“, სთქვა ერთხელ André gide-მა „შეეხება შინაგან რომანტიზმის ხარისხს და წესიერებას“. თხზულება იმდენად უფრო ლამაზია, რამდენადაც იმის

*) ნათარგმნი გერმანულიდან.

საგანი დაუძლეველი და რევოლჲუციონურია, მაგრამ თუ მასალა უკვე დაძლეულია, იმდენად თხზულება ცივი და უინტერესოა. ჭეშმარიტი კლასიციზმი უარყოფს არხაიზმს, ზურგს აქცევს ყველაფერს, რაც უკვე ნათქვამია. ჰოფმანტალის მწერლობა-პოეზია ასეთივე ხარისხის კლასიციზმია. მისი ავადმყოფურება არ არის კვნესა, მისი ოცნებები და სიზმრები არ არის ანარქია.

ის წესი და ხარისხია, მეთოდი ჭკვიან შემოქმედებითი ნებისყოფის.

ჰოფმანტალის პირველი ფაზა, რომლითაც მოიპოვა მან დიდება და სახელი, წარმოადგენს მისი ახალგაზრდობის, და გვიან ბავშვობის მელანქოლიურ კულტურას. მასზე ორი გარეშე ძალა მოქმედებს. სტეფან გეორგეს თხზულებანი და წარსულ რომანტიზმის ჰაერი. სტეფან გეორგეს თხზულებებში არის მუდმივი ლტოლვილება და სიმპატია რაღაც დიდ, თითქმის მეტაფიზიკურ ძალებისადმი. ამასთან ერთად მისი თხზულება ატარებს მაღალ ეკლესიურ ენას. ჰოფმანშტალის ბავშური მელანქოლია უფრო მხიარული და აზრიანია. ლექსი (Vers) მის ახალგაზდურ თხზულებებში რომანიულია, მასში სჩანს ლექსიური ენის, პატარა დრამების, ვენეციური ფერების და ფორმის მდიდარი სტილი. ეს ახალგაზრდობის ფაზა ლექსებში ჰპოულობს თავის წმინდა და მაგარ გამოთქმას. აქ ნათლად ვხედავთ მის შემოქმედებითი სულის ადრე მომწიფებას. მისი ხელოვნების საგანი მხოლოდ ტკივილი და დაღლილობაა.

სიკვდილის სიახლოვე შეიძლება მხოლოდ ახალი საწყისით უკუაგდო.

ჰოფმანშტალის დიდი მწუხარება არ იმალება მარტო მის სუბიექტიურ სულიერ განწყობილებაში! მისი მწუხარება გადადის უფრო დიდ სულიერ ცხოვრების კავშირებში, ჭეშმარიტებაში, საიდუმლოებასა და მოძრაობაში. ამნაირად ჰოფმანშტალის ლექსები არ არის მარტო მისი ბიოგრაფიის დამთავრებული სურათი, არამედ თვით მსოფლიოს სარკე, ხატება. ამასთანავე აქ მოცემულია სიცოცხლის და გაკვირვების პრობლემატიკა. მსოფლიო მოძრაობაშია და სტოვებს კვალს, ის შეიჭრება ქუჩის ბავშვის შიშიან ცხოვრებაში და შეჰქმნის საღამოს, დაბინდებულ ღრმა აზრს. „Die Ballade des ausseren Lebens“ ამ თხზულებაში ის ლაპარაკობს უმიზნო მოგზაურობის და მუდმივ უკან დაბრუნების შესახებ. „Terzinen“-ის თემა სავსებით მიღწეული და გამართლებულია. ლირიულ დრამებში გადადის იგივე მუსიკა, მათი კონტურები მაგარი და სუფთაა. აქაც მძინარე მთვლემარე მსოფლიოს საფუძვლათ უძევს სიცოცხლის მოძრაობა. „Der Tod Tizian“, „Der Tor und der Tod.“ აქ სიკვდილს და სიცოცხლეს ერთმანეთს უპირდაპირებს და სწვდება კიდეც მათ საიდუმლოებას.

როდესაც ვკვდები, პირველად მაშინ ვგრძნობ ჩემს არსებობას. ამ პატარა დრამების ფორმა ჩამოსხმულია ლირიულ საუბარში. მათი სათავე პოეტის სხვადასხვაგვარ განცდებშია, რომელთა გამოთქმის ორატორული სხვადასხვაობა თვალის მომჭრელია. თვით ფიგურების აზრითი და გრძნობითი განსხვავებანი ჩვენს წინ იშლებიან ენის მუსიკალურობის საშუალებით. მეორე ფაზა ჰოფმანშტალის, არის ფაზა ლიტერატორის. ეს სიტყვა ლიტერატორი იხმარება ჩვენში შეფასების აზრით, მე კი ვხმარობ, როგორც სულიერად მდიდარი ტიპის მნიშვნელობით, რომლის განვითარების სამყაროს შეადგენს არა მარტო მატერია, არამედ თვითონ სიცოცხლის ატმოსფერა. ასეთია ჰოფმანშტალი, რომელშიაც მძლავრადაა გამოხატული გერმანელ რომანტიკოსის სული. მისი მწერლობა, პოეზია უშუალოა, მისი ცდაა, რომ წარსულ კულტურას აწმყოში ახალი რამ ათქმევინოს. ჰოფმანშტალის თხზულება არის გადამუშავება ბერძნულ, იტალიურ, ინგლისურ და ესპანიურ დრამების (ზოგიერთი საოპერო მწერლობასაც ეკუთვნის). ჰოფმანშტალის ყოველი ნაწარმოები სულიერ და ენობრივი კულტურის ნიშნის მატარებელია.

ლიტერატორ ჰოფმანშტალის ძლიერი ხელოვნება, ეს მისი პროზაა. ენობრივი გამოთქმა გამახვილებულია, რომელსაც ახასიათებს იშვიათი მუსიკალური ფერადოვნება. ის იძლევა ისეთსავე დაწმენდილ კეთილშობილურ ფილოლოგიას, როგორც შექსპირი, გოეთე, ჟან პოლი, გრილპარცი, სტეფან გეორგე. მისი გზა მიიმართება არც დროში და არც დროს გარე, ის იცნობს მსოფლიოს არა პროლემებში არამედ ბგერებსა და ფერებში. მისი ნაწერების მუდმივი საგანია წინანდელ სულიერ განცდების მოგონებები, ჩუმი სიმხიარულე და სამხრეთული ოცნება, სიზმარი.

# ქორეოგრაფია ეკრანზე *)

„თეატრი და ცხოვრება“-ს მე-8-ე ნომერში შევხვდი წერილს საზღვარგარეთიდან სათაურით: „ცეკვის პოეტი რუდოლფ ფონ ლაბანი. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. ლაბანის მიხწევებმა ცეკვის, კოსტუმების, დეკორაციებისა და მუსიკისგან განთავისუფლებით ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია. ეს სურვილი, პირველი, ნამდვილი ინტერნაციონალური ენის აღდგენისა არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს. მე ვიგრძენ ის ძალა, რომელიც კვლავ მისცემს ადამიანს საშუალებას ილაპარაკოს ტანის უაღრესი მოქნილობით, ლამაზი ჟესტით, მიმიკით და სხვ. მე მსურს სწორედ მიმიკაზე და მის განსახიერებაზე, კინოზე შევჩერდე. ლაბანის თეორიამ შთამაგონა და მაფიქრებინა, რომ კინოს შეუძლია თამამად მოჰკიდოს ლაბანის თეორიას ხელი. რა საჭიროა ამდენი წარწერები, განმარტებები, რომელნიც ხშირად მთელ შთაბეჭდილებას აფუჭებენ? სასურველია, რომ მოკლე, ლაკონიური, წარწერების გარდა, რომელნიც ადგილს ან მეტათ საჭირო პასუხს ან კითხვას, სახელს ან გვარს ასახავენ, სხვა წარწერები შთაბეჭდილებას არ ამძიმებდენ. ხშირად უაღრესად ფსიქოლოგიური მომენტებისთვისაც საჭიროა განმარტება, არტისტის ან მასსის ცუდათ გადმოცემის წყალობით. ხშირად მთელი მომენტი ფუჭდება, რადგან შუაში ჩაწებებულია წარწერა, ურომლისოდაც უნიჭო თამაშის აზრს ვერ გაიგებთ.

ეკრანისათვის არ კმარა მიმიკა. ჟესტი, მიხვრა-მოხვრა, ფეხები და ხელები ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს მას. თითეული ხელის, თითეული თითის მოძრაობა გამომხატველი უნდა იყოს რაიმე განცდისა.

---

*) განსაბჭობად.

ევროპაში უკვე დაწყებულია ასეთი ძიება. ევროპიულ სურათებს არ ახასიათებს მრავალი წარწერა. იქ, წარწერის მაგივრად ლაპარაკობს არტისტის სახე, ხელები, ფეხები, თვით მთელი მასა.. აი როგორც „გრძელ ფეხებიან ბიძია"-ში, მერი პიგფ-ორდის მონაწილეობით, უკანასკნელი სცენა.

აქ ეკრანზე მე არ დამინახავს არაფერი გარდა საყვარძელის ზურგისა და მერის ფეხებისა, რომელნიც ჯერ გაბრაზებას, უსიამოვნებას გამოხატავდენ, მერე თითქოს რაღაც სასიამოვნო იგრძნეს და შეანელეს თავისი გიჟი ქანაობა და შემდეგ კი სრულ სიამოვნებას სახავდენ.

განა გენიალურ არტისტის, კონრად ფეიდტის ხელები უფრო ნაკლებ მეტყველებენ ვიდრე მისი სახე! ყოველი მისი მოძრაობა, ყოველი თითის განძრევა, ყოველი ნაბიჯი არის განცდა, არის თვით უსიტყვო ლაპარაკი (საშინელება).

ასეთი უსიტყვო გადმოცემა ყველაზე უფრო კარგათ მასას შეუძლია, რადგან მეტი აქვს საშუალება ამგვარი ლაპარაკისა. მეტია მისი ინტენსივობა, დინამიურობა, მრავალნაირია მისი ჟესტი და მიმიკა.

შორს წარწერები!

ჩვენი ტანის საშუალებით, ჩვენ უნდა გვქონდეს არამც თუ ლაბანისებურ ცეკვაში, არამედ თვით ყოველდღიურ ცხოვრებაში, საერთო უსიტყვო ენა. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ კინოს საშუალებით, რადგან კინო თვით ცხოვრების ანასახია, მასში არ არის არაფერი თეატრალური და იგი უაღრესად ინტერნაციონალურია.

ზ

შ. ბარამიძე

# მფრინავის იუბილე

პირველ ქართველ მფრინავ ბ. ქ ე ბ უ რ ი ა ს საფრენოსნო მოღვაწეობის 15 წ. შესრულების აღსანიშნავად მაისის 3-ს, კვირას, საქ. ფრენოსნობის მეგობართა საზოგადოების თაოსნობით გაიმართა საპატიო იუბილე.

მფრინავი ქ ე ბ უ რ ი ა საკმარისად ცნობილია არამც თუ ჩვენში, არამედ მთელს მსოფლიოშიაც.

ბესარიონ ქებურია დაიბადა 1877 წ. ზუგდიდის მაზ. ულარიბეს გლეხის ოჯახში, აღჭურვილია საშუალო ტეხნიკური სწავლით.

მან ჯერ კიდევ პატარაობიდან გამოიჩინა ნიჭი და სიყვარული ყოველივე ტეხნიკური დაწინაურებისადმი და მონაწილეობას იღებდა ახალი რკ. გზების აღმშენებლობაში (ბორჯომის, ყარსის, ორენბურგ-ტაშკენტის და სხ;.)

ამ საუკუნის დასაწყისში გამოგონილი ჰაეროპლანებით ფრენოსნობამ ძალზე აღიტაცა მისი გრძნობიერება და 1909 წ. ცნობილი ბლერიოს მიერ ლამანშის ზღვაზე გადაფრენის შემდეგ ქებურია გაემგზავრა საფრანგეთში ფრენოსნობის შესასწავლად, სადაც ბლერიოს სკოლაში (პარიზში) საუცხოვოთ შეისწავლა, როგორც პრაქტიკული ფრენა, ისე მთელი მანქანის კონსტრუქცია.

მერე შეიძინა ბლერიოს ჰაეროპლანი და დაბრუნებისას გამართა პირველათ ფრენები რუსეთის ქალაქებში ძალიან მოხდენილად, მაგრამ სანამ ტფილისს მოაღწევდა, მისი ისედაც უძლური მოტორი (ძრავა) იმდენად გაცვდა, რომ მისით ფრენა საშიშო იყო.

ამიტომ მან 1910 წ. მიანება რა თავი ფრანგულ მანქანას, შეუდგა საკუთარი სისტემის ჰაეროპლანის აშენებას, რასაც წარჩინებით მიაღწია ბევრი ტანჯვა-წვალებისა და მარცხის შემდეგ, მიუხედავად ყოველნაირი სიძნელისა, რომელიც წინ ეღობებოდა მაშინდელ გამომგონთ აპარატების ცდის პროცესში, მეცნიერულად გამოურკვეველ პირობების გამო.

თავისი ჰაეროპლანის უპირატესობა, რომელიც გამოიხატებოდა მის სისწრაფეს, სიმსუბუქესა და სილამაზეში, არსებულ მანქანებთან შედარებით, ქებურიამ დაამტკიცა თავისი მოხდენილ ფრენებით, როგორც ტფილისში, ისე დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიაც.

იმპერიალისტური ომის დროს ქებურია მიიწვიეს როგორც კონსტრუქტორი პეტერბურგში, მერე მსახურობდა კავკასიის პირველ საფრენოსნო რაზმის ტეხნიკურ ნაწილის გამგედ, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გულმოდგინეთ ხელს უწყობს საბჭოთა ფრენოსნობის აღორძინება-განვითარებას ჩვენი მშრომელთა სასარგებლოთ და საკეთილდღეოთ, სამხედრო თუ სამოქალაქო დარგში.

ამ ჟამად მუშაობს ტრანსპორტნიკების საჰაერო ესკადრილიის კომისიაში, სადაც დაიმსახურა დიდი ნდობა და ყურადღება.

მას აუარებელი ლექციები და მოხსენებები წაუკითხავს ამიერკავკასიაში ფრენოსნობის განვითარების მნიშვნელობაზე, რომლითაც მან დააინტერესა რა თავისი მსმენელნი, ფრენოსნობის მეგობართა საზოგადოებას შესძინა ორმოცდა ათი ათასამდე წევრი.

ამნაირად დაუღალავი ენერგია და უზომო ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ფრენოსნობისადმი პატივცემულ იუბილიარს 15 წლის განმავლობაში, მეტადრე ასეთ ძნელ და საფრთხილო დარგში, როგორიც ავიაციაა, უაღრესად ღირსია იმ პატივ-დიდებისა, რომელსაც გაუწევს მას როგორც ჩვენს საბჭოთა მთავრობა და ფრენოსნობის დაწესებულება, ისე ყველა პატიოსანი და შეგნებული მშრომელ და მოქალაქე.

მფრინავი ქ ე ბ უ რ ი ა არის არამც თუ პირველი ქართველი ფრენოსანი, არამედ ის პირველია მთელს საბჭოთა მაშტაბშიაც და აღმოსავლეთში, როგორც მონოპლანისტი პარიზის დიპლომიანი, და თვით მისი იუბილე არის განსაკუთრებული თავისებურობის საგულისხმო როგორც პირველი და ერთადერთი ამიერკავკასიაში და იშვიათი მთელს მსოფლიოში, ვინაიდან იმ დროის ფრენოსნები სულ თითებზე ჩამოითვლებიან.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, რათა უფრო მხნედ განეგრძოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა ტეხნიკის უდიადეს დარგში—ფრენოსნობაში.

# სომეხთა მსახიობ-მწერალ-მოღვაწენი



გ. ზ. ტერ-დავითიანი.
გიქო—„პეპო"-ში.

დაიბადა 1850 წ. აგვ. 25-ს. ჯერ არ დაბადებულიყო, მამა გარდაეცვალა. დედის ანაბარა დარჩენილი დიდს გაჭირვებაში ალიზარდა. სწავლობდა ნერსესიანის სემინარიაში. სამი თვის დიაკვნობის შემდეგ შევიდა სააკ ადიბეგ მელიქოვის (სცენის მოყვარე იყო) ფართლეულობის მაღაზიაში, ხოლო მისი დახმარებით 1872 წ. შევიდა სომხურ დასში, რომელიც თამამშევის ქარვასლის თეატრში სდგავდა წარმოდგენებს. 1897 წ. 25 წ. იუბილე გაუმართეს სათ.-აზნ. თეატრში. იგი დღემდე ყველგან დაუზარებლათ ეხმარება სახალხო წარმოდგენებს.



გიორგი ზაქარიას-ძე ტერ-დავითიანი.
50 წ. სათეატრო მოღვაწეობის გამო.

შეუსრულებია მრავალი სხვადასხვა სახასიათო როლი (გიქო დობჩინსკი, ისაია, პატერ და მრ. სხ.) მოკლე ხანში გაიმართება მისი სასცენო მოღვაწეობის 50 წ. იუბილე.

ყოველ სომეხს—განსაკუთრებით ტფილისელს—რომ ჰკითხოთ: ვინ არის გ. ტერ-დავითიანი, გიპასუხებს:

— რაც **ვასო აბაშიძეა** ქართული სცენისათვის, ის **გ. ტერ-დავითიანია** სომხური სცენისათვის.

ასეთ ნაამაგდარ ქურუმს, რასაკვირველია, მადლიერი ხალხი შესაფერისს პატივსა სცემს!

და ღირსიც იქნება!

ი—ი.

# შვიდმაისობა—პოეზიის დღეა

მაისის 7 პოეზიის სადღესასწაულო დღეა. ამ დღეს საქართველოს ჩანგის სიმები თვალს გადაავლებენ წარსულს—რა გააკეთეს, აწმყოში—რას როგორ განიცდიან, მომავალში—რა გზით იარონ.

დიდია მათი დანიშნულება განსაკუთრებით დღეს, როდესაც პოეზიის სამეუფოში ეგეოდენი მკრეხელი შეიჭრა და მისი სახელით იმდენი რამ „იქმნება", რასაც მშვენიერება-სილამაზესთან, ადამიანთა სულიერად ამაღლება-განსპეტაკებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

შეუძლებელია და მიუღებელი ჭეშმარიტი პოეტი, პოეზიის ნამდვილი ქურუმი განსაზღვრულ კალაპოტში ჩავაყენოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, პოეზიის ყველა ქურუმს ერთი კი უნდა სწამდეს: შემოქმედობის დროს გულწრფელობა, თანადოულობის სულის ასახვა!

ქართველი და საერთოდ ყველა ერის უდიდესი პოეტი უმაღლეს პოეტურ შემოქმედობის დროს მშობელ ერის ხალხის თუ კაცობრიობის ზრახვათა და მისწრაფებათა გამომსახველი იყო ხოლმე და ასეთადაც უნდა დარჩეს. პოეზიის ღვთაება ყველა თვის თაყვანისმცემელ-მიმდევარს აქეთკენ მოუხმობს!

სალამი პოეზიის ყველა ჭეშმარიტ მოციქულს!

**იოსებ იმედაშვილი.**

# ცხოვრების გზაზედ

ბოლმით, კაეშნით ავსილ სხეულს ჩემსას ვატარებ,
წასვლა ფიქრებში მარტოდ მარტო მალამოდ მხვდება,
მთელს ჩემს არსებას განუსაზღვრელ დუმილს ვაბარებ,
როს ცის წიაღზედ ვარსკვლავთ სხივი აციმციმდება.

დუმილს მოჰყვება მოგონება, აწმყო, წარსული,
თვალნი კი ღამის წყვდიადისა არეში რბიან,
ცრემლთა დენითა მეტანჯება ობოლი სული,
წყლულის დამრჩენელ ეკალივით გარს მედებიან.

ფიქრთა ოცნებამ მომაგონა ბავშობა ტკბილი,
გულიც ლაღობდა საკისკასოდ და სახარხაროდ,
მაგრამ მოვიძრე დროთა ჟამში სინორჩის კბილი,
ტალღამ გამტყორცნა სავალალოდ და სამწუხაროდ.

საუკუნებათ მექცევიან დროთა წამები,
ცხოვრების გზისა საფეხურზედ შევადგი ფეხი,
ვივლი რაინდათ, ნაღველითა განაწამები,
სანამ არ დამცემს საზარელი სიკვდილის მეხი.

**ა. კუპრაშვილი.**



ბათუმის ცენტრალურ კლუბთან არსებული ქართული დრამატიული წრე „წითელი ხელოვნება“.

კლუბის გამგე ამხ. გრ. შავიშვილი (*)



კ. თავართქილაძე
ნაამაგდარი გამომცემელი და მწიგნობარი.
40 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო.

**კ. ოზოლი**

# პირველი მაისი

დრამა I მოქმედ.

## მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

| | |
|---|---|
| **მექარხნე**—50 წ. | **ცირა**—მექარხ. ქალიშვილი 16 წ. |
| **ბოქაული**—35 წ. | **მუშა** |
| **გოროდოვოი**—52 წ. | **სტუდენტი** |
| **დათიკო**—მექ შვილი 22 წ. | |

(პირველად დაიდგა ბათომში საბჭოთა მოსამსახურეთა კლუბში). მექარხნის მდიდრულად მორთული სამუშაო კაბინეტი. ფარდის ახდისას სცენაზე მოსჩანს მექარხნე საწერ მაგიდასთან სავარძელში. მეორე მხარეზე პატარა მაგიდასთან ზის ბოქაული, რომელსაც თავი ჩამოუდვია მაგიდაზე და ხვრინავს. მოქმედება გათენების ხანს.

**მექარხნე** (გასწევს ფარდას და ფანჯარაში იხედება) უკვე თენდება. რა საშინელი წუთები მიდგას წინ. (დაფიქრდება) ნეტავ ეს პირველი მაისი სრულიად არ არსებობდეს დღეთა რიცხვში. მთელი ღამე არ მიძინია, სულ ძალლივით ვარბენინებდი ქუჩებში ამ საცოდავს (მიუთითებს ბოქაულზე).

**ბოქაული** (ძილში) სულ ტყავს გავაძრობ მაგ ქოფაკებს. ა ა.. შენ დამისხი.

**მექ.** დასწყევლოს ღმერთმა, სულ დასხმა და ჩასხმა აგონდება. ამას ოღონდ ასვი, ფული აჩუქე, ქარხანა ფეხებზე ჰკიდია... (მიდის მასთან) მეგობარო—ა, მეგობარო, ადექი, უკვე თენდება, ერთხელ კიდევ ჩაიარე მუშათა ბინებისაკენ, იქნებ ალიონის ხანს ვისმეს წააწყდე.

**ბოქ.** (ასწევს თავს) მერმე და თუ ვისმეს შევხვდი, ისეთ დღეს დავაყენებ, რომ პირველ მაისს კი არა 9 იანვარსაც დავავიწყებ.

**მექ.** აბა, შენ იცი, და, თუ დღეს მშვიდობიანად გადავრჩი, შენი დაჯილდოვება მე მკითხე. (თავისთვინ) სწორედ ჩემისთანა ხალხის თავზარდამცემია ეს პირველი მაისი.

**ბოქ.** (დგება) ოჰ, როგორ ტკბილად მეძინა! სწორედ ჩემისთანა ხალხის მტერია ეს პირველი მაისი! (დაკრავს მაგიდაზე ხელს) ჰეი, შემოდი!

**გოროდ.** (შემოდის) რას მიბრძანებთ, თქვენო კეთილშობ..?

**ბოქ.** ხომ არაფერი შეგიმჩნევია ღამის განმავლობაში?

**გორ.** არაფერი, თქვენო კეთილშობ...?

**ბოქ.** წავიდეთ და ერთხელ კიდევ დავათვალიეროთ მუშათა ბინების არე-მარე.

**გორ.** მესმის, თქვენო კეთილშობ...

**მექ.** მაშ რახან მიდიხართ, თითო ორ-ორი არაყი გადაჰკარით, რომ უფრო ფხიზლად ადევნოთ თვალყური! (გამოაქ. არაყი და სასმისი).

**ბოქ.** (დაასხამს და სამჯერ ზედიზედ გადაჰკრავს) სწორედ რომ კარგია. (მიაწოდებს გოროდ.) აჰა, შენც გადაჰკარი.

**გორ.** (გადაჰკრავს) დიდებულია, თქვენო კეთილშობ...

**ბოქ.** აბა, მარშ!.. (მექარხნეს) შეგიძლიათ სრულიად დამშვიდებით დაიძინოთ. სიტყვას გაძლევთ, თქვენი ქარხანა დღესაც ისე იმუშავებს, როგორც გუშინ. ისეთ რისხვად მოვევლინები მუშებს, რომ 10 საათის ნაცვლად 12 იმუშაონ

**მექ.** (ხელში ფულს ჩაუდებს) აბა, თქვენ იცით და ჩემგან კიდევ ბევრს მიიღებთ. (ჩუმად) იქნებ სროლა დაგვჭირდეს, შენ ესროლე, პასუხს მე ვაგებ.

**ბოქ.** კეთილი. (გადის).

**მექ.** კარგი იმედია: „სიტყვას გაძლევ, შენი ქარხანა დღესაც იმუშავებსო".

**დათიკო** (შემოდის) დილამშვიდობისა, მამა ჩემო!. (დააკვირდება) მგონია წუხელის არ გიძინიათ. რა იყო, რა მოხდა?

**მექ.** რაღაც საქმეები მქონდა, რამოდენიმე წუთით გამოვედი, მაგრამ ისევ დავბრუნდები.

**დათ.** აბა, როგორ გეკადრება, მამაჩემო, თქვენს ადგომას არა სჯობდა ჩემთვის დაგევალებიათ ან სხვისთვის გეთქვათ მისი შესრულება?

**მექ.** სხვა შენს საქმეს ისე როგორ მიხედავს, როგორც თვითონ. შენ-კი ჯერ ვერ შესძლებ ასეთი საქმეების შესრულებას. შენ აგრე ადრე რად ამდგარხარ, შვილო? წადი, დაიძინე, გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი ხანია. შენ ხომ მუშის შვილი არა ხარ ძილის დაკლება აიტანო.

**დათ.** მე სრულიადაც არ მინდა ძილი, მამაჩემო, თუმცა მთელი ღამე არ მძინებია..

**მექ.** როგორ თუ არ გძინებია! მაშ რას აკეთებდი?

**დათ.** არაფერს. ძილი არ მომივიდა.

**მექ.** არა უშავს, ახალგაზრდობამ ხშირად იცის უძილო ღამეები, ალბათ ვინმე მშვენიერ ბანოვანზე ფიქრობდი.

**დათ.** მე სულ სხვა ფიქრები არ მასვენებდენ.

**მექ.** (შეკრთება) სხვა..რა ფიქრები? ავად ხომ არა ხარ? გასეირნება გსურს? (ხელს მოხვევს) წადი, შემოგევლე, მოისვენე, საცაა ქარხნიდან საქმეებზე მოვლენ, საქმეს მოვრჩები და მეც მოვალ.

**დათ.** დღეს ხომ ქარხანა არ იმუშავებს!

**მექ.** როგორ თუ არ იმუშავებს? რა ამბავია?

**დათ.** ის, რომ დღეს პირველი მაისია და მუშები საკუთრივ დღესასწაულობენ ამ დღეს ნიშნად მთელი ქვეყნის მუშების შეკავშირებისა.

**მექ.** როგორ თუ? განა ღმერთმა მათ ცალკე დღესასწაული მისცა? იმათაც ის უნდა იდღესასწაულონ, რომელსაც ჩვენც კდღესასწაულობთ, რომელიც ღვთისა და კანონის ძალით არის დაწესებული.

**დათ.** ღვთისა და კანონით დაწესებული დღესასწაული, მათთვის წამების დღეებია. ისინი იმ დღეებში სულითა და ხორცით იწვიან. ჩვენ ქარხანას არ ვამუშავებთ, „დღესასწაულიაო", ისინი კი უმუშევარნი ულუკმაპუროდ შესცქერიან ჩვენს ზეიმს. ჩვენ ვზეიმობთ, გვიხარია, დროს გავატარებთ ისინი კი... არა... არა... მამაჩემო, ეს უსამართლობაა! ამ ქვეყნიური ჯოჯოხეთია. მე ჩემი თვალით ვნახე საშინელი სურათი. სწორედ იმ აღდგომა დღეს თქვენსას რომ ზეიმი იყო, მე მუშების უბანში ჩავიარე. თვალი მოვკარი ჩვენი ქარხნის მუშის შვილს, რომელსაც მამაჩვენმა ქარხნის ჩარხებმა მოსტაცა, შევხედე დაკეცილ კაბას ნემსით კერავდა. მისი სახე სავსე იყო საშინელი შურისძიებით. განა მისთვის ჩვენი დღესასწაული დღესასწაული იყო? მან თვალი მომკრა, შერცხვა, წამოვარდა და სახლში შევარდა. ნახევრად შიშველ ხორცს ხელით იფარავდა. იმ დროს, როდესაც ჩემი და ცირა ათასგვარ ტანსაცმელებში იყო მორთული, მისი ტოლი ქალი კი დაკეცილ ძონძებში ჩაფლული და იქიდგან ეძებდა შესამოსს. არა, არა! ეს სამართალი არ არის, ჩვენ მას მამა მოვსტაცეთ, რით დავაკმაყოფილეთ მისი ცოლშვილი? არა, მამაჩემო, ეს არ შეიძლება. ჩვენ მის წინაშე დამნაშავენი ვართ.

**მექ.** დათიკო, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე, ეს რა მესმის, ამას რას ვხედავ?

**დათ.** იმას, რაც უნდა დაგენახა, მამაჩემო.

**მექ.** შვილო, შენი თავის მტერი რად უნდა იყო?

**დათ.** მტერი კი არა, მოყვარე ვარ! მე სიმართლეს ვამბობ—შენც ხომ მასწავლიდი ბავშობისას: „სიმართლე გიყვარდესო".

**მექ.** სიმართლე შენი თავის სასარგებლოდ უნდა გიყვარდეს, შვილო, და არა სხვისთვის.

**დათ.** მაგას სამართლე არ ჰქვიან, მამაჩემო.

**მექ.** არა, შენ უთუოდ ცუდ ფეხზედ ამდგარხარ. აბა ერთი მითხარი როგორ შეიძლება, შვილო, მუშის შვილის შენთან მოტოლება?

**დათ.** რატომაც არა?! რით არიან. ისინი უარესები? აბა მიეცით მათ რაც მე მაქვს და ნახავთ როგორიც იქნებიან. (ისმის ელსმენი).

**მექ.** (მივა ტელეფონთან, აიღებს მილს) საიდან? ა? ჯერ არაფერი ამბავია. როგორ ატყობთ, მუშები მოვლენ სამუშევრათ! ზომები დროზედ მიიღეთ, ეხლავე აცნობეთ პოლიციას, თითეულ მუშისას ცალ-ცალკე მივიდნენ და ძალად წამოიყვანონ გესმით? თუ ვინმემ უარი განაცხადოს ან წინაალმდეგობა გაგიწიოსთ, ესროლეთ კიდევაც, მე ვარ პასუხისმგებელი.

**დათ.** ეგ საშინელებაა, მამაჩემო!!

**მექ.** (განაგრძობს) იმოქმედეთ ისე, როგორც საქმეს მოუხდებოდეს. მეც მალე მოვალ.

**დათ.** მამაჩემო! საქმე სიდინჯეს მოითხოვს და არა ასეთ სიფიცხე-სიმკაცრეს. განა პოლიცია შეაჩერებს მღელვარე მუშების ტალღებს. ეხლავე გაეცით განკარგულება, რომ შენი ქარხნის მუშებს დღეს ხელი არ ახლონ, თორემ მათი რისხვა წაგვლეკავს. მათი ხელით აგებული ჩვენი ბედნიერება მათივე ხელით განადგურდება.

**მექ.** დათიკო, გიბრძანებ თავი დაანებო ჩემს საქმეებში ჩარევას, გასწი დაიძინე...

**დათ.** მე დღეს ვერ დავიძინებ... დღეს პირველი მაისია და თუმცა მე მუშის შვილი არა ვარ, შემიძლიან ჩავდგე მათ რიგებში და მათთან ერთად ჩემი სისხლით მაინც გამოვიყიდო თქვენს მიერ ჩადენილი უსამართლობა. მაშ გაუმარჯოს პირველ მაისს! (იღებს ჯიბიდან პატარა წითელ დროშას, წამოაგებს ჯოხზე და გადის).

**მექ.** ვაიმე, დავიღუპე! (ისმის ელსმენის ხმა. აიღებს მილს) ჰო, მესმის, რაო, რაო, რა არის? როგორ? ა, მუშები გამოვიდნენ? როგორ თუ გამოვიდნენ. პოლიცია რას შვრება? მიიღეთ ზომები! აცნობეთ ჯარს! მეც ეხლავე მოვდივარ! (დააგდებს მილს) მაგრამ პოლიცია რომ ვერას ახერხებს, მე რა უნდა ვქნა? (დადის აღელვებული) ვაიმე, დავიღუპე—დავიღუპე!

**ცირა** (შემოდის) რამ ალგაშფოთა მამაჩემო? იცი რა კარგი დილა გათენდა? მზე ისე ამოდის როგორც აღდგომა დილას, დღეს, სკოლაში აღარ მივდივარ, სწავლა აღარ გვექნება.

**მექ.** როგორ?! რატომ არ გექნებათ სწავლა?!

**ცირა** მიტომ, რომ დღეს პირველი მაისია და უნდა ვიდღესასწაულოთ.

**მექ.** რას მიედებ-მოედები! რის დღესასწაული, რომელ კანონში გიწერიათ?!

**ცირა** რა საჭიროა, კანონში ეწეროს? ჩვენ გვსურს და ვიდღესასწაულებთ კიდევაც.

**მექ.** ხმა! ხმა მეთქი! მეორეთ არ გაბედო ასეთი სიტყვების თქმა, შენ ხომ მუშის შვილი არა ხარ, რომ მათ აჰყვე?

**ცირა** ნუ ჯავრობ. ჩვენმა სკოლის მოწაფეებმა გადავსწყვიტეთ დღევანდელი დღე ვიუქმოთ.

**მექ.** რის გადაწყვეტა, რა გადაწყვეტა? შენ ვერსად წახვალ!

**ცირა** მე უკვე მივდივარ და ვერც ვერავინ დამიშლის. გაუმარჯოს პირველ მაისს! (გარბის).

**მექ.** სწორედ ამას ჰქვიან უბედურება. რას მივაწეროთ? სწორედ იმ მასწავლებლების ბრალია...

**ბოქ.** (შემოდის) საშინელი ამბებია, ქუჩები ხალხიოაა სავსე... ისე ფრიალებს წითელი დროშები, თითქოს წითელი ზღვა ღელავსო. (მოქანცული ჯდება) ოხ, რამდენი ვირბინე, კინალამ ქვით მომკლეს.

**მექ.** მერმე მთავრობა რას აკეთებს, სად არის ჯარი?!

**ბოქ.** ჯარი მოიყვანეს, მაგრამ ვერაფერი გააწყო, სროლა ჯერ არ უბრძანებიათ.

**მექ.** როგორ თუ არ უბრძანებიათ? რაღას უცდიან? ჩვენ რომ გაგვანადგურებენ მერმე მიიღებენ ზომებს?! (იხედება ფანჯარაში) ხალხი იფანტება. მგონია უბრძანეს სროლა.

**გოროდოვოი** (იარაღ-აყრილი, წელშიშველი) ვაიმე, მომკლეს მომეხმარე, თქვენო კეთილშობ... (ფეხზედ დგას)?

**ბოქ.** რა იყო!? რა ამბავია? ჯარი ჯერ არ მოსულა.

**გოროდ.** მოვიდა, მაგრამ ვერას აწყობს. ხალხი ჭიანჭველასავით მოლაგდა, ისვრიან ქვებს, ჯოხებს, რკინებს, რაც ხელში მოხვდებათ. მე ჩემი ხმალით გამლახეს, ძლივს თავი დავახწიე და გამოვექეცი.

**ბოქ.** მერმე აგრე უნდა მეფის სამსახური? რო მოეკალი არ უნდა გამოქცეულიყავი—ლაჩარო, მშიშარავ, მეფის მოღალატევ! მე შენზედ დღესვე რაპორტს დავსწერ.

**გოროდ.** თქვენო კეთილშობილებ.. ნუ მიზავთ, ნუ ჩადგებით ჩემს ცოდვაში.

**მექ.** (რომელიც ფანაჯრაში იხედებოდა) მგონია აქეთ მოდიან...

**ბოქ.** (შეშინებული) ვაიმე, სად დავიმალო! (იღებს რევორველს).

**გოროდ.** (იქვე კუთხეში მიეკეცება).

**დათ.** (რომელიც უწინ შემოვარდება) აქ შემოდი, ამხანაგო! ჩემი სახლია, თავს შევიფარავთ. (შეხედავს ბოქაულს) ამას აქ ვის ვხედავ?!

**ბოქ.** (ესვრის ლევორველს) მოკვდი მეფის მოღალატევ.

**დათ.** (ეცემა ძირს) ვაიმე, ჩემ სახლში მომკლეს...

**მექ.** ვაიმე, შვილი მომიკლეს! (მივარდება დათიკოსთან).

**ბოქ.** შვილი?! ვისი შვილი?

**დათ.** (მუშას) ძმაო, თავს უშველე, ჩემი სახლიც ბუდე ყოფილა უბედურების.

**ცირა.** ვაიმე, ეს რა ამბავია! (მიირბენს დათიკოსთან) დათიკო—ძმაო!

**სტუდენტი** ეს შენ მოკალი, ბატონო ბოქაულო! (ამოიღებს რევოლვერს ესვრის).

**ბოქ.** (დაეცემა ძირს) ესეც პირველი მაისი...

**ცირა** ეგ სულ შენი ბრალია, მამაჩემო, ძმაო დათიკო—ძმაო.

**მექ.** შვილო, შვილო!.. (იცემს თავში ხელს).

**მუშა** ძმებო, ქუჩაში გავიდეთ, ერთი და ორი მსხვერპლი ვერ შეგვაშინებს! (გარედან ისმის ხმაურობა და მარსელიოზა) გაუმარჯოს პირველ მაისს!

**ყველანი.** გაუმარჯოს! გაუმარჯოს. (გადიან)

ფ ა რ დ ა

**იოსებ გრეძელი.**

# რ ო მ ა ნ ს ი

ოცნების ბადეს, ლამაზო, გტყორცნი,
გტყორცნი, ლამაზო და შიგ გაგახვევ;
გადაგეხვევი, გრძნობით დაგკოცნი,
დაგკოცნი გრძნობით, თავბრუს დაგახვევ!
ნაზ ეთეროვან კოშკსა ავაგებ,
ავაგებ კოშკსა ნეტარებისას;
ზედ სახურავად მზის სხივს დავაგებ,
დავაგებ მზის სხივს ჟამთა კმევისას!

ცის სიმაღლემდე ძაფსა გავაბამ,
გავაბამ ძაფსა სიყვარულისას,
და, მშვენიერო, შენ შიგ დაგაბამ,
დაგაბამ შენ შიგ ტრფობავ გულისას.
დარაჯად, ტურფავ, თვით მზეს მოგიჩენ,
მოგიჩენ თვით მზეს არ შეგეშინდეს,
და თითონ შენ მზე. სხივებს გააჩენ,
გააჩენ სხივებს, გულსა არ ჰყინდეს!..

გი—გი ბ—ერია

# კიდევ ეროვნული გალობა-სიმღერების შეკრება-გამოცემისათვის.

მრავლისგან მრავალ საუკუნოობით ქართველ ერს კულტურულ დარგში შეუტანია უდიდესი საუნჯენი, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს მის სამაგალითო ეროვნულ სიმღერას. ამ გარემოებას აქვს უეჭველად უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ერი, გარდა ქართველისა, რომელსაც ბუნებრივად შეექმნას სამხმოვანი კილო. თანამედროვე ევროპიული ჰარმონია შედეგია ხელოვნური მუშაობისა. დანარჩენი კაცობრიობა კი იმღერის ეროვნულად ცალ-ხმოვან კილოზედ.. მიუხედავად ამისა ქართველი ერის მიერ მსოფლიო კულტურისადმი ძღვნობილი დიადი განძი (სამხმოვანი კილო) ჯერ-ჯერობით მაინც ვერ გადაქცა დიდი ყურადღების ღირსად: თითქოს არავინ ჰპოვებს საჭიროდ, რომ მის სრულიად ნოტებზე გადაღებით და დაბეჭდვა-გამოქვეყნებით უკვდავ იქმნეს იგი. ჩვენთ თვალთ წინ, ვით კინო-სურათები, ქარბიან მომხიბლავი ეროვნული ჰანგები, და მათი კვალი სამუდამოდ იშლება პირისაგან მიწისა. ვერ მოხერხდა, ვერ მოგვარდა მათი სისტემატიურად ჩაწერა დაბეჭვდის საქმე; არ არის ამისათვის მკვიდრ ნიადაგზედ დაყენებული კოლექტიური მუშაობა, რომ იკრიბებოდეს და არ იკარგებოდეს ეს უძვირფასესი და უდიადესი ეროვნულ-კულტურული განძი. ასეთსავე დაუდევრობაშია ჩვენში შეკრება ზეპირ-სიტყვაობისა.*) არ ვიტყვი, რომ ხან-და-ხან ეს ჩვენი დიდი ნაკლი გაზეთის ფურცლებზე არ მღავნდებოდეს და არ გამოითქმოდეს გაზეთისავე ფურცელზე მისი გამოსწორების სურვილი; მაგრამ ხმა ამ საქმისადმი ღირსეულად გულ-შემატკივართა ჯერ კიდევ რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ვიმეორებ: თუ ეს საქმე ამას იქითაც დარჩა ასე უყურადღებოდ, ათასეულ წელთა ჩვენი ერის გენიოსობის უმაღლესი ნაყოფი, რომელიც უდიადესი და უმშვენიერესი მასალა იქმნებოდა მომავალი თაობის კეთილ-ჰარმონიულად აღზრდისათვის, სამუდამოდ ჩაჰბარდება დროთა ვითარების წყვდიადს. ამ საქმეს არა შველის მარტო ნატვრა ნატვრის თვალისა, რომელიც თითქოს უხარჯველად მოგვცემს ყველაფერს... თითო-ორ-ორ პიროვნებათა თავგანწირვა, რომ ასეთ უსახსრობაში ეს ძვირფასი მარგალიტები შეჰკრიბონ და გამოაქვეყნონ, თუმცაღა დიდი გმირობაა მათი მხრით, მაგრამ იგივეა, რაც წვეთი ზღვა ოკეანეში, რადგან სამკალი იმდენია, რომ ასობით და ათასობით ითხოვს მომკალთ. როგორც ვიცით, აუარებელია დაკარგული საეკლესიო საგალობელნი (საერო-ხომ ათასჯერ მეტიც). მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი ჰყავდა წასულ დროში გამავრცელებელ—მასწავლებელნი. (საერო-კი ბუნების ანაბარად იყო დატოვებული). მაგალითისათვის შორს არ წავალთ: განთქმულმა საეკლესიო მგალობელმა დავით ჩხარელმა (შოთაძე) უკანასკნელად, ღრმა მოხუცებულობაში, მწუხარებით წარმოსთქვა: „ისე ვკვდები, რომ ჩემი ცოდნა სანახევროდაც ვერავის გადავეცი; ყველაზე მეტი კი იოანე ცქიტიშვილს ვასწავლეო“. ცქიტიშვილმაც (ა. დუმბაძისა და ა. წეროძის აღმზრდელ—გამწვრთვნელი იყო) თავისი აღმზრდელის სიტყვები განიმეორა სიკვდილის წინად. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, კანდელაკებს, დუმბაძეებს, ქალაგანიძეებს, მეძმარიაშვილებს, წეროძეებს, ხუნდაძეს, გუგუნავას, თავდგირიძეს, და სხვა მრავლის უმრავლეს კორიფეებს ჩვენი ეროვნული მუსიკისა აგრეთვე ჯავრი ჩაჰყვებოდათ და აწიც ჩაჰყვებათ საფლავში. ამ მხრივ ჩვენი ეროვნული სახე, როგორც მწუხარებით აღნიშნა პატივცებულმა პროფესორმა არაყიშვილმა, ადგია უკვე გადაგვარებისა და გადაშლის გზას. და, რომ ერს შევარჩინოთ თავისი მშვენიერი სახე და ელფერი, დაუყონებლივ უნდა მიექცეს ამ ნაკლის გამოსწორებას **მუშურ-გლეხური მთავრობის** ჯეროვანი ყურადღება. ნათქვამია: „ვინც გააჩინა თხა, მან დაუშვენა რქაო“. ვინც ხალხის სრული გაეროვნებისათვის ზრუნავს, მანვე უნდა ააყვაოს მისი სახე, მისცეს მას ელფერი მის სულიერ საუნჯეთა სასტიკად დაცვით. ეხლავე საჭიროა კოლექტიური მუშაობა და დაულალავად გროვება ჯერ კიდევ არ დავიწყებულ სიმღერა-გალობათა და ზეპირ-სიტყვაობისა; მათი დაბეჭდვა და გამომზევება; გამდიდრება და აყვავება ჩვენი ლამაზი ერის გონებრივი სალაროსი, რომ ჩვენს ერსაც ეყოლოს მომავალში განთქმული ვირტუოზები. ბევრ ჩვენს მოყვარულს აქვს თავისი ნაშრომ-ნაღვაწი დაუბეჭდავად, სკივრებში ჩალაგებული, და უცდის ამინდს, რადგან დღეს-დღეობით მას ნივთიერი ღონისძიება არა აქვს. ამასობაში ან მოკვდება და ობლად დარჩება ყველაფერი, ან ბაღლები დაუფხრეწენ და თაგვები დაუღრღნიან ნაამაგარს, როგორც ეს საუბედუროდ ხშირად ხდება. და. რომ ეს ასე არ მოხდეს, დროზედ, ეხლავე, უნდა მათ საშუალების მიგებება; მოვიკლოთ სხვა რამეზე, ხოლო ამ საქმეს კი აღმოვუდინოთ საჭირო წყარო: მივსცეთ მას ზნეობრივი და ნივთიერი მძლავრი დახმარება.. ვისაცა გვაქვნდეს ყურნი სმენად, დროა—ვისმინოთ!..

*) რავდენი ზღაპარი, იგავ-არაკი, თქმულება, შელოცვანი, ანდაზები, სასიმღერო ლექსები, გ ჰქრენ და ჰქრ ბიან. ჩვენი უკვდავი აკაკი სულ იმათ შეკრებაზედ ოცნებობდა, მაგრამ ამაოდ...

ერთმა ხურომ. რომელსაც აუარებელი სხვა და სხვა ხელსაწყო (იარაღი) ჰქონდა და თანდათანობით ეფანტებოდა, ეკარგებოდა, ერთხელ გულის ტკივილით სთქვა:- იარაღის დაკარგვას მაშინ ვტყობულობ, როცა დამჭირდება, ვეძებ და ვერ ვპოულობ. ჩვენი მდგომარეობაც სავსებით იმ ხუროს მდგომარეობას ჰგავს, რომელიც თანდათანობით ყველაფერს ჰკარგავდა და გვიან ტყობილობდა.



## ნინო ჩხეიძეს

სალამურსა ვეძებდი
რაკრაკას, ტკბილ-ხმიანსა.
შუქურ-ვარსკვლავს ვეძებდი,
რომ მიაპობს წყვდიადსა;

ჩანგს ვეძებდი მე, ჩანგსა,
ჩანგსა სიყვარულისა,
ეშხით მტოკავს, მთრთოლავსა.
მალხინებელს სულისა;

და ვეძებდი მუშკამბარს,
ყნოსვის დამატკბობელსა,
სათნოებას ვეძებდი,
სიბოროტის მგმობელსა;

დავეძებდი... ვეძებდი...
მოვუწოდებდი ღმერთსა
და შენ გპოვე... აწ იმათ
აღარ ვეძებ არც ერთსა!..

**გ. ლომთათიძე.**

# ლიტერატურულ-მხატვრული საღამო

რევოლიუციისა და ლიტერატურის შესახებ ამხ. ილ. მგელაძე ვარდინის თაოსნობით აპრილის 27 პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიმართა ლიტერატურულ-მხატვრული საღამო, რამაც დიდძალი ხალხი მიიზიდა.

**ამხ. ილ. მგელაძე-ვარდინმა** გააშუქა რევოლიუციისა და ლიტერატურის ურთიერთობა, .თანამედროვე მწერლობის დანიშნულება და გეზი.

**რუსის პოეტმა სანიკოვმა** წაიკითხა საკუთარ პოემების ნაწყვეტები და ერთი ლექსი, რომლითაც „ოლიმპიურ სიმაღლიდან“ გადმოხედა ქართველ პოეტებს და რაღაც შთაგონებისებური დარიგება დაუწყო.

**პოეტმა პაოლო იაშვილმა** სხარტულად ირონიით უპასუხა სანიკოვს, ნათელჰყო მისი ქართულ მწერლობასთან გაუცნობელობა, ზერელობა, ხოლო მომხსენებლის საყურადღებოდ სთქვა, საქართველოში მემარცხენეობა ჩვენ დავიწყეთო და თუ ვინმე „თანამგზავრია“, ეგ ჩვენი მომბაძველიო.

**კ. გამსახურდიამ** აღნიშნა, რომ ხელოვნების ვიწრო ჩარჩოებში მომწყვდევა დაუშვებელია, თვით მარქსიც კი დიდის პატივისცემით ეპყრობოდა სხვა ბანაკის ხელოვანთ (გოეთე), ყველა მიმართულებას უნდა შევუწყოთ ხელი, რომ მწერლობა-ხელოვნება აყვავდეს, ქართული კულტურა, ლიტერატურა მეთორმეტე საუკუნიდან ჩამოყალიბდა, ვითარცა სწორუპოვარი სვეტი, და ყველა ქართველი მწერალი ამის გაგრძელება უნდა იყოსო. საერთოდ კ. გამსახურდიას სიტყვა, ილ. მგელაძე-ვარდინის სიტყვის შემდეგ, უფრო შინაარსიანი, მთლიანი და გარკვეული იყო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ბოგდატიევმა, ნ. ზომლეთელმა, ტ. ტაბიძემ, ნ. შენგელაიამ, პროლემაფელმა ქიქოძემ, ვენ. ბუაჩიძემ და სხ. მომხსენებელმა ამხ. ილ. მგელაძე-ვარდინმა საბოლოო სიტყვაში მოსწრებულად უპასუხა ყველა შეკითხველს და, სხვათა შორის, აღნიშნა, შოთა რუსთველი თავის დროის კვალობაზე მოწინავე კაცი იყო, თანამედროვე გაგებით ბოლშევიკი, და ჩვენ დღეს ილიას და აკაკის უფრო წავიკითხავთ, ვიდრე ჩვენი დროის სხვა და სხვა ჯურის „ისტებსო“.

საერთოდ ამხ. ილ. მგელაძე-ვარდინმა თავისი ნათელი და გარკვეული აზროვნებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ამ საყურადღებო საღამოს ჩრდილი მიაყენეს ზოგიერთმა ე. წ. მწერლებმა თავისი დოინჯური გამოსვლით. ასეთი „დოინჯით გამოსვლა“ არა თუ უზრდელობაა, საზიზღარი უკულტურობაც. ცისფერი ყანწელები, პროლემაფელები, ჰაშორესოოთხელები ურთიერთს „დაეტაკენ“, ერთმანეთი წუმპეში ამოთხუპნეს, მთელი დარბაზიც საშინლად აამყრალეს და ურთიერთის დასამცირებლად ნაცოხნი სიტყვებით ქართული კალმოსნის ღირსება შელახეს. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, მაგრამ, ვაი, რომ ამ ვაჟბატონებს სირცხვილის გრძნობაც მთლად დაჰკარგვიათ!

**უხავანო.**

# მარიამ გარიყულის შესახებ

**გორში** მე-2-რე ლეგიონის კლუბში აპრილის 7-ს, პედაგოგმა და სახალხო ლექტორმა ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ქართულ ლიტერატურიდან ლექცია „მარიამ გარიყულის შემოქმედება“, მისი სამწერლო მოღვაწეობის (1905—1925 წ.) 20 წ. შესრულების აღსანიშნავად.

ხალხი ბლომათ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა, ვინაიდან ლექცია მეტად საინტერესო და შინაარსიანი გამოდგა და მით დაუვიწყარი შეიქმნა.

მსმენელთა უმრავლესობისათვის უცნობი იყო გარიყულის როგორც ვინაობა, ისე მისი შემოქმედება; მაგრამ ალ. გარსევანიშვილმა ისე კარგად აგვიწერა მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რომ დამსწრე საზოგადოება აშკარად დარწმუნდა ამ მწერალი ქალის ღირსეულ ბელეტრისტულ ნიჭში.

ლექტორმა ორ კატეგორიათ გაჰყო გარიყულის ნაწარმოებნი: მოთხრობები პსიხოლოგიურ შინაარსის და სურათები სოფლის ცხოვრებიდან.

მ. გარიყულმა, როგორც რეალიზმის მომხრემ, მიუდგომლად დაასურათა გლეხთა აქ ცხოვრება; აღნიშნულია ნაკლიც და დადებითი მხარეც.

ჩვენთვის მეტად საინტერესო იყო ანალიზი იმ მოთხრობისა, რომლის შინაარსი ამოღებულია ულარიბეს მოქალაქეთა ცხოვრებიდან (მოთ. „სარდაფში“). აქ დასურათებულია „კომპრაჩიკოსის“ ტიპი... ამ მოვლენაზე წინათ არავის მიუქცევია ყურადღება. ლექტორმა აგვიხსნა, თუ სადაურია სიტყვა „კომპრაჩიკოსი“ (ბავშვის დამამახინჯებელი) და რამ წარმოშვა ასეთი ტიპი, როგორც სხვაგან ისე ჩვენში.

აუდიტორია დაინტერესდა მ. გარიყულის პიროვნებით: ლექციის ბოლოს გამოიწვია იგი სცენაზე და მხურვალე ტაშის ცემით მიეგება.

ამის შემდეგ ალ. გარსევანიშვილმა სანიმუშოთ წაიკითხა გარიყულის მოთხრობა „ესეც ბორკილი“. ლექტორი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.

სასურველია ხშირად იკითხებოდეს ასეთი ლექციები მშობლიურ ლიტერატურიდან.

**დამსწრე მოწაფე.**

# ჩვენი უცხოელი კორესპონდენტებისაგან

**პარიზში** 28 მარტს გამართულ იქმნა კომპოზიტორ-პიანისტ ირაკლი ჯაბადრის დიდი სიმფონიური კონცერტი აქაურ ერთ საუკეთესო დიდ დარბაზში -- des champs Elysèes, საუკეთესო კოლონას სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, რომელიც შესდგება 65 არტისტ დამკვრელისაგან. დირიჟორობდა ცნობილი M. Francis Fouche. იმდენად საინტერესოა პირველი სიმფონიური კონცერტი ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორისა, რომ მოგვყავს მთელი პროგრამა: Programml.

Premiére partil

1. Léonore № 3. (ouverture) Beethoven, 2. Ler Dindons Djabadari, 3. Koncerto en la museur Djaba-

dary (pour piano et orchestre) a) Masetoso, b) Abagio (romane), c) Allegro (rondo), Première audition. Denxiéme partie,

4. Concerto en mi mineur Chopin (pour piano et orchertre), a) Allegro (maestaso); b) Romanse (larghetto); c) Rondo (vívuce) 5. La Lègende Gèorgienne, Djabadary, 6. Rapsodie Djabadary, (pour piano et orchestre).

პარიზის საზოგადოებამ პირველად მოისმინა ქართველი კომპოზიტორი-პიანისტის ქართული მუსიკა. დიდი დარბაზი ხალხით სავსე იყო. ქართველობა ბევრი დაესწრო. საზოგადოება დიდ აღტაცებაში მოიყვანა კონცერტმა.

Les Dindons (ინდოურები) იუმორისტული მუსიკა საუცხოვოთ დაწერილია. ინდოურების კავ-კავი შესანიშნავად არის გადაღებული ორკესტრზე. ამ ნაწარმოებს ბევრნი სენ-სანსის Карnaval des Animaux-ზე მაღლა აყენებენ,

Concerto en la majeur—ძლიერ კლასიკური ნაწარმოებია. კომპოზიტორს ეტყობა დიდი თეორიული მომზადება და ნიჭი. ამასთან შესანიშნავი ძლიერებით იყო ასრულებული. გარდა კომპოზიტორობის ნიჭისა, ჯაბადარს აქვს შესანიშნავი ტეხნიკა და მუსიკალური გემოვნება.

ქართული ლეგენდა ჩვენ გავიგეთ, ბევრმა ვერ გაიგო, მიუხედავად ამისა, საზოგადოებას ესეც მოეწონა. ლეგენდის შინაარსი მოკლეთ რომ დაებეჭდათ და დაერიგებინათ, რასაკვირველია, გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა გემოვნებით დაწერილი ნაწარმოები. კონცერტს დაესწრო ტფილისში ცნობილი დირიჟორი ეიხენვალდი, რომელიც აღტაცებული იყო, საზოგადოებასთან ერთად, ქართული რაპსოდიით, რომელიც ირაკლი ჯაბადარმა პირველად ვენაში დაუკრა დიდ სიმფონიურ კონცერტზე 1913 წ.

გარდა თავის ნაწარმოებისა, ჯაბადარმა მეორე განყოფილებაში აასრულა შოპენის ნაწარმოები.

ამ კონცერტს დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის. ვისურვებ ჯაბადრის სამშობლოში დაბრუნებას, სადაც შეუძლია დიდი სარგებლობა მოიტანოს მუსიკოსების მომზადებაში.

Pol de-Çoc.

პარიზი. 30 მარტი 1925 წ.

# სად რა კეთდება? ვინ რას აკეთებს?

## შილდის სახალხო სახლი.

არ ვეხები სოფ. შილდის მდებარეობასა და სილამაზეს, რადგანაც მასზედ ბევრი დაწერილა და თქმულა.

ამ ორ წლის წინეთ, შილდის საზოგადოებამ განიზრახა სახალხო სახლის აშენება და კიდეც ამოირჩია კომისია და საჭირო თანხის აკრეფა დააკისრა, რომლის საშუალებითაც შესძლებდნენ შილდის მცხოვრებთა ამ სანაქებო განზრახვის სისრულეში მოყვანას.

ამას დიდ ყურადღებას აქცევდა იმ დროის ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე ილია მიჩილაშვილი, რომელსაც საკმარისი შრომა მიუძღვის ამ შენობის აშენების დროს. აღსანიშნავია აგრეთვე იმავე სოფლის სკოლის გამგის გიორგი უტურაშვილის (ძველი სცენის მოყვარეა) ერთგული მუშაობა: ის დიდი სიხარულით გვერდში ედგა შილდის მშრომელ ხალხს და მათთან ერთად ფიზიკურ შრომას ეწეოდა (ხალხი ბეგარის სახით მუშაობდა).

ამ სოფლის ინტელიგენტი, მუშა, გლეხი, თითქმის ყველა სცდილობდა დროზე აეშენებიათ სახალხო სახლი... რამდენიმე თვის შემდეგ მიზანსაც მოაღწიეს მათ, ერთგული და კოლექტიური შრომით: შენობა ააგეს, დახურეს კიდეც, მაგრამ დანარჩენი სამუშაო მიატოვეს.

საკვირველია! რატომ არა სურს შილდის სახალხო სახლის ამგებ კომისიას დაწყებული საქმე დაამთავროს და შილდის მცხოვრებთ დროზე აღირსოს შესაფერ თეატრში წესიერი წარმოდგენების დადგმა.

იმედია თელავის მაზრაღმასკომი მაინც დაეხმარება ამ საქმის მოწყობაში ზემოხსენებულ კომისიას, გადაალახვინებს ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებს და შილდლებს ამ მოკლე ხანში მოაწყობინებს სახალხო სახლს, რითაც ადგილობრივი ძალები ახალ თეატრში წარმოდგენების დადგმით ხელს შეუწყობენ შილდის მშრომელი ხალხის გონებრივ წინსვლას.

ლადო მჭედლიშვილი.

## ტფილისის მ/გ მილიციაში.

თებერვლის რიცხვებში—ადგილკომის თაოსნობით თანამშრომლებისგან ჩამოყალიბდა ქართული დრამატიული წრე.

მილიციის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრთათვის დადგმული იქმნა სამი უფასო წარმოდგენა.

წრე ენერგიულად განაგრძობს მუშაობას და ეტანება რევოლიუციონურ შინაარსის პიესებს. წრის რეჟისორ-ხელმძღვანელია მსახ. საშა ლორთქიფანიძე.

აქვე, მილიციაში, არსებობს პროფპოლიტწრეები, რომლებიც სისტემატიურად აწარმოებენ მეცადინეობას. უახლოეს დროში მოხდება ცენტრალურ პროფწრის მსმენელთა გამოშვება.

მოწყობილია აგრეთვე პროფწრეები მე-5 და მე-9 სამილიციო რაიონებში. პროფწრეების ლექტორ-ხელმძღვანელია ამხ. გრიშა კაკაბაძე (გან-კანი). მილიციის სამმართველოსთან არსებობს ცენტრალური კულტ-კუთხე, სადაც იმართება კრებები, იკითხება ლექციები და ხდება წრეების მეცადინეობა.

კულტ-კუთხე მდიდარია როგორც მოწყობილობით, აგრეთვე თავისი წიგნთსაცავ-სამკითხველოთი და მუზეუმით“.

ადგილკომი უშვებს ორ კვირეულ გაზეთს (კედლის) „წით. მილიციონერი“.

გ. ივლიტაშვილი.

## მათხოჯის სახალხო სახლს, რომელიც დაიწვა, კვლავ აღვადგენთ!

სამი კვირის უკან შესდგა მათხოჯის და მისი რაიონის ქალ. ტფილისში მყოფ მოქალაქეთა საზოგადო კრება. კრებამ მოისმინა საამშენებლო მთავარ საბჭოს თავმჯ. ამხ. ვარლამ ძიძიგურის მოხსენება, თუ რა პირობებში მოგვიხდება მუშაობა, რომ კვლავ აღვადგინოთ ხსენებული სახალხო სახლი. კრებამ დაადგინა მიმართონ ამიერკავკასიის და ავტონომიურ რესპუბლიკების მთავრობებს, რათა გაგვიწიონ სათანადო დახმარება მის აღსადგენად. სხვათაშორის, საზოგადო კრებამ ამოირჩია 15 კაცისაგან შემდგარი ქვესაბჭო და სარევიზიო კომისია. საბჭოს წევრები უკვე შეუდგნენ მუშაობას. მიმართეს აღმასკომს, რათა ნაკლებ ფასებში დაგვითმოს ქალაქის ცენტრ. ქუჩებზედ ოთხი-ხუთი დარაბა წყლის გასაყიდად, კარგი იქნება ქალაქის აღმასკომის უძრავ-მოძრავი ქონების გამგეობამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, და დაგვითმოს ხსენებულ საქმისათვის დარაბები.

დომენტი მათხოჯელი.

## ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმი

ქ. ქუთაისში 1918 წლიდან არსებობს სამუსიკო ტეხნიკუმი, რომელსაც სათავეში უდგას ფრიად ენერგიული მუშაკი ილ. აბაშიძე. იგი ტეხნიკუმის წინსვლისათვის და საქმის კარგ დონეზე დაყენებისათვის არაფერს ზოგავს, და მონდომებულია, ეს საქმე, რომელიც ზრდის რამოდენიმე ათეულ ნიჭიერ ახალგაზრდას, წაიყვანოს წინ. ტეხნიკუმში სწავლობენ უმეტესად ღარიბი მოწაფენი, მშრომელთა შვილები, დაჯილდოვებულნი არაჩვეულებრივი ნიჭით. მაგრამ ნივთიერად ტეხნიკუმი ვერაა დაკმაყოფილებული, რაიც აფერხებს მის სწორ საქმიანობას. ტეხნიკუმს ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი—მასწავლებელნი, რომელნიც დაუღალავად მუშაობენ. ყოველდღე სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა და, უნდა ვიფიქროთ, ჩვენს საოპერო ძალებს შეემატებათ კიდევ ერთი ახალი ძლიერი კადრი საუკეთესო მომღერლების და სხვ.

ტეხნიკუმს ეხმარება განათლების სახალხო კომისარიატი და ადგ. აღმასკომი. მაგრამ კიდევ უფრო დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ საქმის მსვლელობა არ შენელდეს. ტეხნიკუმი თავის ფონდისათვის მართავს სამუსიკო საღამოებს, კონცერტებს, ამ ჟამად მზადდება დასადგმელად ოპერა „თქმულება შოთა რუსთველზე“, ადგილობრივ და მოწვეულ ძალთა მონაწილეობით. მზადდება აგრეთვე ოპერები „ყვავილების რევოლიუცია“, „სოკოების ჩოჩქოლი“.

დროგამოშვებით ტეხნიკუმის მიერ ახლო დაბა-ქალაქ-სოფლებში ეწყობა კონცერტები, საღამოები, რასაც მშრომელებში და გლეხობაში შეაქვს სიყვარული და ინტერესი ხელოვნებისადმი. ტეხნიკუმის ხელმძღვანელთ შედგენილი აქვთ ახალი სამუშაო გეგმა, რითაც ფიქრობენ თავის საქმიანობის უფრო გაფართოვებას, ფილიალურ განყოფილებათა გახსნას და სხვ.

მეტი ყურადღება, მეტი დახმარება და თანაგრძნობა მათ.

**შ.**

# სათეატრო მიმოხილვა

**სახელმწიფო ოპერაში** კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი გასტროლი ვიხილეთ: მომღერლებ მიგაის და მოზჟუხინის შემდეგ შეუდარებელი ლეონიდ სობინოვის ჩამოსვლამ ერთხელ კიდევ გააცხოველა ტფილისის საზოგადოების ინტერესი თეატრისადმი. სობინოვი პირველად გამოვიდა ლენსკის პარტიაში (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“). თუმცაღა სობინოვის ხმას დაუკარგავს თავისი პირვანდელი სიძლიერე, მაინც უნებლიეთ გიტაცებთ და ჰგრძნობთ მომღერალს, როდესაც ისმენთ დამატკბობელ მომხიბლავ, მელანქოლიით აღსავსე ფრაზებს და უყურებთ სადა, სავსებით კეთილშობილს, ლამაზს და რეალურ თამაშს. სობინოვში დიდის კმაყოფილებით ჰგრძნობთ მაღალ კულტურის არტისტის და ვოკალისტის შემოქმედებას. საზოგადოებამ და სცენამ ოვაციები გაუმართა გასტროლიორს.

ამ საღამოს ცენტრალური ყურადღება მომღერალ ვენაძესადმი იყო მიპყრობილი, რომელიც პირველად გამოვიდა ონეგინის იშვიათ ძნელს და საპასუხისმგებლო პარტიაში. მომღერალი საერთოდ მომზადების სათანადო სიმაღლეზე იდგა. ტფილისმა უკანასკნელად ონეგინის პარტიაში მომღერალი მიგაი ნახა, რის შემდეგაც სხვა მომღერლისათვის, მით უმეტეს ახალგაზრდა ვენაძესათვის პირველად ამ პარტიაში გამოსვლა სიძნელეს შეადგენდა, მაგრამ ვენაძემ სავსებით სახელოვანად და თავისუფლად სძლია ეს პარტია როგორც ვოკალური მხრივ, ისე კარგი სცენიური გადმოცემით და ტემპერამენტიან შესრულებით. ლამაზი კანტილენით ასრულებს მე-3-ე სურათის არიებს, თავად გრემინთან მეჯლისზე ძნელ არიას მოფიქრებულის ფრაზიროვკით მღერის, რაც ძალიან ლამაზია. უკანასკნელი სურათი ნამდვილი ხელოვნებით ჩატარდა, კარგია მაღალი ტესტიტურის Sol-ის ფერმატო, ხოლო ლარინთან მეჯლისზე მეგობრების ჩხუბის დროს ფრაზა „დაჩუმდით, თორემ მოგკლავთ“ მეტს დრამატიზმს საჭიროებს. ის მხურვალე თანაგრძნობა, რომელიც მომღერალს აუდიტორიამ განუცხადა, სავსებით დაიმსახურა მან.

პოლიშჩუკის ტატიანა, როგორც ყოველთვის, ერთფეროვანია თამაშის მხრივ. არა უჭირს რა მის მიერ შესრულებულ სცენას წერილის დროს. მომღერალ შარაშიძეს ხმა (თავადი გრემინი) ამ საღამოს მოისუსტებდა მცირეოდენი დეტონაცია ემჩნეოდა. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მომღერალ კავსაძემ ფრანც ტრიკეს შესრულებით. დანარჩენი შემსრულებლები თავ-თავიანთ ალაგზე იდგნენ.

***Violino.***

**წითელ თეატრში** მარტის 28 გაიმართა მარო თარხნიშვილის ნამდვილი ქართული ხალხური კონცერტი. დებს თარხნიშვილებს კაი ხანია ჩვენი საზოგადოება იცნობს, როგორც განსაკუთრებული ხმისა და კილოს პატრონთ. ამ საღამოსაც უფრო მეტი ფასი ექნებოდა, რომ მეორე დასაც—კატოსაც—მიეღო მონაწილეობა (გვითხრეს—ავადააო). ალბათ, ამიტომაც ვერ შეასრულეს „ჭონა“, „მუშური“, რასაც დაჟინებით მოითხოვდა ხალხი. მთელი ყურადღება მაინც მარომ მიიქცია, როგორც თავისებურმა ხმის პატრონმა. საამო შთაბეჭდილება დასტოვა გიგუცი კავსაძემ (სანდროს შვილმა),—მეტად საამო და საკმაოდ ძლიერი ხმა აქვს. კარგი მომავალის ნიშნებს იძლევა და ბეჯითი ყურადღების მიქცევა უნდა.

დასასრულ მოცეკვავე ალექსიძემ თავის სტუდიელი სამი წყვილი ქალ-ვაჟი აცეკვა. ახალგაზრდა მოცეკვავეებმა თვისი მოხდენილი მიმოხვრით, საზრიანი ცეკვით საყოველთაო ვაშა-ტაში დაიმსახურეს.

**უსავანო.**



მარო თარხნიშვილი—გლეხი დედაკაცის სახით

**წითელი თეატრი** (ყოფ. სახ. სახ.) გადახალისების ნიშნებს იძლევა. აპრ. 26 ვ. გარრიკის მიერ დაიდგა „ბასტილიის აღება“, ახალგაზ. სტუდიელებისთვის მეტად ძნელი პიესა. მაგრამ უნდა ითქვას, ნაკისრი როლები მეტად სასახელოდ, კარგად შეასრულეს და ღარიბ პირობათა მიხედულებით დადგმაც შნოიანი და ჯავარიანი იყო.

აპრ. 30 დ. კობახიძემ დასდგა „ცხვრის წყარო“. ამ სეზონში აქ ასეთი დადგმა არ გვახსოვს. სრული ანსამბლი, თითოეული როლის შეგნებით, შესისხლხორცებით. განსახიერება აგვირგვინებდა წარმოდგენას ალმასრულებელნი ახალგაზრდა სტუდიელნი არიან, ახალი მოსწავლენი, ეტყობათ სიბეჯითე. დადგმის მხრივაც თავისებური იყო, რიგიანი.

ზოგიერთნი გაშარჟებას უნდა ერიდონ. პიესა ისედაც მდიდარია, სათამაშოდ საუკეთ. ძლიერ მოგვეწონა კიკნაძის ასული,—ჭეშმარიტი მსახიობის ნიჭი ეტყობა.

**ი. არიელი.**

**ჭიათურის აკადემიურ თეატრში** 1924-25 წ. სეზონის დასაწყისიდანვე, ადგილობრივ ძალების გარდა მუშაობენ მოწვეულნი მსახიობნიც: ა. ლოლუა, თ. აბაშიძე, ნუნუ მაჭავარიანი, პ. ფრანგიშვილი, ვ. ლოლაძე; რეჟისორნი: ნ. გამრეკელი-თორელისა და სოსო მებურიშვილი. იდგმება ორიგინალური და ახალი თარგმნილი პიესებიც. ალსანიშნავია ს. მებურიშვილის დადგმანი. ყოველთვის დიდი ყურადღება აქვს მიპყრობილი წარმოდგენის მხატვრულ მხარეს, და თვით პიესებიც, საზოგადოების გემოვნების მიხედვით არის შერჩეული. საერთოდ ახალგაზრდა რეჟისორს საქმისათვის უალრესი გატაცება და შრომისმოყვარეობა ახასიათებს. შედეგი: საზოგადოება ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდება მის წარმოდგენიდან. ჭიათურის თეატრს ჰყავს, საკმაოდ, ადგილობრივი ძალებიც. მათ შორის ბევრთან დაკავშირებულია ჩვენი პროვინციის თეატრის წარსულიც (ან. იურკევიჩი, ნ. სიხარულიძე, გ. ნუცუბიძე, დღევანდელი კომისარი თეატრის, და სხვ.) არიან აგრეთვე, უკვე გამორკვეულნი სახის მქონე ახალგაზრდა მსახიობნიც (ბ. ლეჟავა, დ. ჩხეიძე, ბ. გამრეკელი).

ყოველწლივ, სეზონის დასაწყისში გვიხდება ხოლმე მსახიობთა მოწვევა, რაც უხერხულებას ჰბადებს. კარგი იქნებოდა, არსებულ დასიდან, ვისაც საჭიროდ დაინახავდა თეატრის ადმინისტრაცია, გამოეყო წლიური ჯამაგირით. ამითი ამ ხალხს საშუალება ექნებოდათ ზაფხულის განმავლობაში მომავალ სეზონისთვის მომზადებულიყვნენ ხოლმე და საზოგადოება ნამდვილ მხატვრულ წარმოდგენებით დაეტკბოთ. ამითი გამართლდებოდა თეატრის „აკადემიურობაც“. ჭიათურის თეატრის შენობას დაჰყვა ერთი უბედურება. ყოველ წელიწადს შეკეთება, გადაკეთება... იხარჯება დიდი თანხა, მაგრამ... თეატრი მაინც წყალშია და მაინც. წელსაც: შენდება „ფოიე“ იმ დროს, როცა დარბაზში კედლებიდან წყალი ჟონავს, სინესტეა სცენაზედაც... საზოგადოთ ამ მხრივ თეატრი უნუგეშო მდგომარეობაშია. ჭიათურის თეატრს ოცი წლის ისტორია აქვს, და, მე მგონი, ურიგო არ იქნებოდა, პატარა სალამოთი მაინც აღნიშნულიყო იმ ხალხის სახეები, რომელთაც საკმაო ენერგია შესწირეს ჩვენს პატარა პროვინციის თეატრს, აღნიშნულიყო 20 წლის თავი მისი არსებობისა.

**გრ. ვაშაძე.**

**დუშეთის თეატრში** ორშაბათს, 20 აპრილს, ადგ. დრამ. დასმა თავის ხელმძღვანელ-რეჟისორ ბორია ლითანიშვილს გაუმართა ბენეფისი. წარმოდგენილი იქნა პირველად დუშეთის სცენაზე „ციცინათელა“. 4 მოქ. შიუკაშვილისა — მონაწილეობდენ საუკეთესო ძალები. თვით ამხ. ბორია ლითანიშვილი ასრულებდა ლევან მესხიშვილის როლს. თუმცა საძაგელი ამინდი იყო ხალხი ბლომად დაესწრო.

ბორია ლითანიშვილმა სცენაზე მუშაობა დაიწყო 1909 წ. ავჭალის აუდიტორიაში, შემდეგ ნაძალადევის ძველ თეატრში დროგამოშვებით 1924 წლამდე, რადგან ზაფხულობით სხვადასხვა სოფლებში ხელმძღვანელობდა დრამატ. წრეებს. 1922 წ. მანგლისში მდგომ საინჟენერო და მესანგრე ათასეულებში დაარსა დრამატიული წრეები და ჰხელმძღვანელობდა. 1923 წ. საზაფხულო სეზონში რეჟისორობდა დაბა „ახალდაბა“-ში, ბორჯომის ახლოს. 1924 წ. ერთი სეზონი ირეჟისორა ს. ქვიშხეთში და 1924 წ. მიწურულში ეწვია ქ. დუშეთს, სადაც დაშლილ-დაქსაქსულ დრამატ. წრეს თავი მოუყარა და დიდის ენერგიით შეუდგა სასცენო მუშაკობას.

**ა.—კ.**

**ქ. გორს** 8 მარტს ა. წ. ტფილისიდან ეწვია მოგზაური დასი, რომელმაც დასდგა „მალაროს უფროსი მუშა“, „ექიმი და ვექილი“ და „სიმართლე“. დასს კარგად შეხვდნენ, განსაკუთრებით ელ. ჩერქეზიშვილს შეეგებნენ მქუხარე ტაშით. დამსახურებულმა მსახიობქალმა განუწყვეტელი სიცილი დაბადა საზოგადოებაში, თავის მიხვრა-მოხვრით, მიმიკით და მშვენიერი გამოთქმით. დასში შედიოდენ: ჩერქეზიშვილი ელ., ანკარა სოფ., აბაზაძე ელ., ფრონისპირელი გ., ჟივიძე ს., ივერიელი ა., ძნელაძე ა. გომელაური ზაქ. ქალელიძე, მატარაძე ვიქ. დიდძალი საზოგადოება დაესწრო და დიდათ კმაყოფილი დაიშალა, რომელიც იძახდა: „ნეტავი ხშირად გვეწვეოდენ ეს დალოცვილი ტფილისელები“, „რას მივაწეროთ, რომ გორშიც გვეწვივნენო“ *) და სხვ. საჭიროა უფრო მალმალე გვინახულონ ხოლმე ტფილისელებმა, თორემ რასა ჰგავს, მთელ ზამთრის სეზონში ჩვენს სცენაზედ არ გვინახავს ტფილისიდან არავინ ჩამოსული.

**გრ. ლა—შვილი.**

## აკაკის ხსოვნისა და ძეგლისათვის

**მე-4-ე შრომის მთლიან სკოლამ** ქართ. დივ. ცენ. კლუბში (ყოფ. მცირე თეატრში) აპრ. 10 გამართა სალამო-წარმოდგენა. სალამოს დაწყებამდის სკოლის გუნდმა ზ. ხატიაშვილის ლოტბარობით შეასრულა ინტერნაციონალი, აკაკის შემოქმედებაზე სიტყვა წარმოსთქვა მოწაფე გ. ჯავახიშვილმა. სკოლის მოწაფეთა დრამ. წრემ წარმოადგინა აკაკის „სცენა საპატიმროში“ და ბალანჩივაძის „უბედური დღე“. დივერტისმენტში წარმოსთქვეს აკაკის და თვისი ლექსები. საკონცერტო განყოფილებაში შეასრულეს ეროვნული და რევოლიუციის სიმღერები. ბალეტში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო პერინის სტუდიის მოწაფე ქალმა ლილი გვარამაძემ: მისი სხეულის ყოველი კუნთი მოქნილ-მეტყველია, გაწაფული.

მშვენიერი იყო ცოცხალი სურათიც.

სცენას ამშვენებდა აკაკის დიდი სურათი ამავე სკოლის მოწაფის ათენაძის მიერ დახატული ვეება ყვავილთა ქნარში, ხოლო მის ირგვლივ ფეერისებური ტურფა ასულნი.

**იქვე მე-15-ე მთლიან შრომის სკოლამ** აპრ. 24 გამართა ამავე მიზნით სალამო. სიტყვა წარმოსთქვა მოწაფე ჩიხლაძემ. მოწაფეებმა დასდგეს: „ბატონი და ყმა“. დივერტისმენტში აკაკის და თავისი ლექსები, საკონცერტო განყოფილებაში მოწაფეთა გუნდმა კომ. გ. სვანიძის ლოტბარობით (სალამო დაიწყო ინტერნაციონალით) შეასრულა ეროვნული და რევოლიუციონური სიმღერები. დასრულდა ი. სუხიშვილის და მის მოწაფეთა ცეკვით, რაიც დამსწრეთ მოეწონათ.

ორივე სალამოში მოწაფეებმა დიდი უნარი, ხალისი და სიყვარული გამოიჩინეს. ორივეჯერ დარბაზი სავსე იყო მოზარდი თაობით. სალამოს განაგებდენ თვით მოწაფენი. ორივე წარმოდგენის წმინდა შემოსავალი საძეგლო ფონდისთვის გადიდო.

---

*) ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ტფილისიდან წამოსულა რომელიმე დასი სამოგზაუროდ და გორში კი არ შემოუხვედნია.

## მფრინავ ბესარიონ ქებურიას

(ძღვნად)

ძვირფასო ბესარიონ! მე მინდა მოგაგონოთ ის სახსოვარი მომენტი, როდესაც ღრმად ჩაფიქრებული კითხულობდით ჟურნალს, მიმითითეთ მფრინავ მანქანაზე და მითხარით:

— ხედავ, მეგობარო, როგორ ფრენენ საფრანგეთშიო?!.

შენ იმ დროს საკვირველად მიგაჩნდა ჰაეროპლანით ფრენა. შენ გაგიტაცა სწავლის სურვილმა, წახვედი და შეისრულე კიდეც გულის წადილი. შენი ბუნებრივი ნიჭით და მაღალი ცოდნით შენ შეიქენი ჩვენი სამშობლო ქვეყნის პირველი მახარობელი, ამ უკვდავ კულტურის შემოტანისა.

მას შემდეგ შესრულდა ხუთმეტი წელიწადი, რაც შენ გამარჯვებული დაბრუნდი ჩვენს ზურმუხტოვან საქართველოში. ამიტომაც დღესასწაულს გიხდის შენი მადლიერი მშობელი ერი და გისურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა შენით კვლავ ეამაყნოს მას.

გაუმარჯოს შენს დიად ღვაწლს! შენთან ერთად გაუმარჯოს მეცნიერებისათვის წამებულებს!

მაშ გაგიმარჯოს სამარადისოთ.
ახალ კულტურის მახარობელსა.
ვისურვებ კიდევ ბევრი ეშობნოს.
შენგვარი გმირი დედა-მშობელსა!..

**ტარასი ფარჯანაძე.**

# ქრონიკა

**ქ. თელავში** ამჟამად საგანგებო ოსტატები არიან ქ. ტფილისიდან მოწვეულები სახალხო სახლის დასამთავრებლად. ამ სახლის დროით დამთავრებას დიდ ყურადღებას აქცევს აღმაკომის თავმჯ. გიგო ქურციკაშვილი. აგრეთვე დიდი ყურადღება აქვს მიქცეული თელავის ახალ ბაღის აშენებას, რომელშიც დღეში ოთხმოც კაცზე ნაკლები არა მუშაობს. ქალაქის გზები ფართოვდება, წყაროებიც რამდენიმე ალაგას გაიყვანეს წყალსადენით.

**გიორგი ჩხუბიანიშვილი**

**დამსახურებული მსახიობ ქალი** მარ. სოფ. აბაშიძისა ხელმეორედ ავად გახდა პლევრიტით. დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა სწრაფი დახმარება.

**რომანისტი ვ. ბარნოვი** სწერს ახალ რომანს „არმაზის მსხვრევა“.

**„თეატრი და ცხოვრება“**-ს 15 წ. არსებობის აღსანიშნავი საღამო გაიმართება მაისის გასულამდე.

**ავადმყოფ მოღვაწეთა** სოფრომ მგალობლიშვილის და ტრიფონ რამიშვილის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სათანადო ადგილას შუამდგომლობა აღიძრა.

**ალ. მაისურაძის გუნდის** კონცერტი მაისის 12-ს გაიმართება წითელ თეატრში (სახ. სახლში). შესრულებული იქნება ახალი ხალხური კილოები.

**ახალი გამოცემანი** მივიღე გ. წერეთლის სავმაწვილო მოთხრობა „ღვთის წყალობა“. წიგნი შემკულია ნახატებით ავტორის სურათით, აწყობილია ვენის ასოთი, გამომცემლობა „ჯეჯილისა“, 50 გვ. ფ. 25 კაპ. 2) სენი წერეთლის ინსცენიროვკა „მკითხავის გასამართლება“. 3) ჟურნალ მნათობი 2(10) იბეჭდება. გედეონ გუგუნავას ფერიული დითირამბი შფოთიან ქალაქს“.

**სახალხო თეატრის ისტორიის** გამოსაცემად (შედგენილი გ. ჯაბაურის მიერ) შესდგა საგამომცემლო-სარედაქციო კომისია. წიგნი დასაბეჭდათ მზადდება და მოკლე ხანში გამოვა მრავალის სურათით, დაახლოვებით 200 გვერდამდე.

წიგნში შევა ტფ. გარე უბნებში მომუშავეთა ნაშრომ-ნაღვაწის აღწერილობა, ნახატები და სხ. დაინტერესებულ პირთ საჭირო მასალები (მოგონებანი, სურათები წარმოადგინონ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში (რუსთაველის პრ. № 34)

**პირველ ქართველი ფრენოსან ბეს. ქებურიას** საფრენოსნო მოღვაწეობის 15 წ. იუბილე გაიმართა 3 საისს დღისით ჰაეროდრომზე, საღამოთი საკუთარ ოჯახში. მიულოცეს თანა მოღვაწეებმა და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ, რომელთაც აღნიშნეს ქებურიას დიდი ღვაწლი არა მხოლოდ საქართველოს არამედ მსოფლიო ფარგალშიც. იუბილეს ნაჩქარეოზა ეტყობოდა.

**გარდაიცვალნენ** დამსახურებული მასწავლებელ და მწერალი ალ. მირიანაშვილი, ძველი ჟურნალისტ-ქრონიკიორი დავ. პავლიაშვილი („ნაპოლეონი“) და ჭიათურის სცენის ერთი დამაარსებელთაგანი, მწერალი ქალი ანეტა იურკევიჩი—ფირცხალაიშვილისა (მგოსან რუს-იმერლის ასული). დაწვრილებით შემდეგ.

**რ. ჯიბილას** (რაფ. ჯიბლაძის) გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულების გამო ამ მოკლე ხანში წითელ თეატრში (სახალხო სახლში) გაიმართება საღამო, დაიდგმის მისივე პიესა „მკვლელობის წინააღმდეგ“. მონაწილეობენ ძველი სცენის მოყვარენი. შენოსავალი გადაეცემა რ. ჯიბილას უსაღსროდ დარჩენილ ცოლშვილს რ. ჯიბილა სახალხო თეატრის ერთი უანგარო მუშაკთაგანი იყო, ნიჭიერი სცენის მოყვარე, გურული სცენების მწერალ-მკითხველი და, იმედია, ხალხი შესაფერისად სცემს პატივს ამ უდროოდ დაღუპულ ადამიანის ხსოვნას.

**შეცდომის გასწორება:**

გასულ ნომერში აკაკის საღამოს ანგარიშში გამოტოვებულია შემდეგი აბზაცი:

„მასწავლებელმა გ. ბოკერიამ მოკლე და გულისწყრომით აღსავსე სიტყვაში გაჰკიცხა ჩვენი საზოგადოების ის ნწილი რომელიც გულცივად ეკიდება ყოველ საზოგადოებრივ საქმეს“.

ილ. წინამძღვრიშვილის გარდაცვალების—წელი 1920 წ.

თავლიტ. № 644 ხელმძღვანელი: **კოლეგია.** რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.** ტირ. 1500

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

# მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

1910 წ. XV წლისთავი გამოცემისა XV 1925 წ.

**„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ:** ჟურნალის გარდა, ყოველ სამ თვეში ერთხელ **უფასო პრემიას—**წელიწადში **ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე“-ს,** რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

**„თეატრი და ცხოვრება“** გაგზავნით, ოთხივე დამატებით, ღირება წლიურად—**10 მან., ხელის მოსაწერი** ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-ისთვის 2 მან., ოქტომბრის 1-ისთვის—3 მან., **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში: ტფილისი, რუსთველის პრ. № 34.—რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

**პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს თაოსნობით მალე გაიმართება

## დიდი ლიტერატურული გასამართლება

მიხ. ჯავახიშვილის რომანის

## „ჯაყოს ხიზნები“-ს გმირები

## თეიმურაზ ხევისთავი, მარგო, ჯაყო—საბრალმდებლო სკამზე

დრო, ადგილი, შემადგენლობა და გასამართლების წესი შემდეგ გამოცხადდება.

## დაიბეჭდა და იყიდება

მიხეილ ჯავახიშვილი

შვიდ-კარიანი რომანი

# კვაჭი კვაჭანტირაძე

**480 გვერდი, ფასი 2 მან. 75 კაპ.**

გამომცემელი

**„საბჭოთა კავკასიონი“**

კვაჭი კვაჭანტირაძე

(2—1)